ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ორშაბათი, 26 დეკემბერი, 2016 №306 (7231) ფასი: 50 თეთრი

მამა გიორგი ცნობილაძეს ესროლეს

გვ.7

22 დეკემბრიდან ძმები გრიმმები წითელქუდა

მაგარი ყდა: 64 ფერადი გვერდი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

კვირიკაშვილს გახარია შეცვლის?

დაბრუნდება თუ არა პოლიტიკაში უსუფაშვილი

გვ.2

შალვა შავგულიძე: „თუ პრეზიდენტს „ქართული ოცნება“ დანიშნავს, მაშინ მას სრულად გააკონტროლებს“

გვ.3

დავით ბაქრაძე: „სააკაშვილის განცხადებები მორალურ ზღვარს სცდება“

გვ.2

რაზე ელაპარაკა ივანიშვილი პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარეს

ობამამ საქართველოსა და უკრაინისათვის თავდაცვის სფეროში თანხების გამოყოფას მხარი დაუჭირა

გვ.4

თენგიზ დიხამინჯია: „სამოქალაქო ომის შედეგებს დღემდე ვიმკით“

გვ.4

ISSN 1987-9385

დღეს გავიგებთ, გაიზრდება თუ არა ელექტროენერგიის ტარიფები

გვ.6

დავით ბაქრაძე: „სააკაშვილის განცხადებები მორალურ ზღვარს სცდება“

რაზე ელაპარაკა ივანიშვილი პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარეს

შორენა მარსაგიშვილი



ნაციონალურ მოძრაობაში წივილ-კივილი გრძელდება.
დაპირისპირებამ უკვე ისეთი სერიოზული სახე მიიღო, რომ საქმეში გაწონასწორებული და კონსტრუქციული დავით ბაქრაძეც კი ჩაერთო.
მთელი ამ ხნის განმავლობაში ბაქრაძე კომენტარებს არ აკეთებდა. მისი მდუმარების მიზეზი, შესაძლოა, ის იყო, რომ გიგა ბოკერიას დაჯგუფება პარტიის ახალ თავმჯდომარედ სწორედ მას მოიაზრებდა.

ბოლო პერიოდში მასთან დაკავშირებით კიდევ არაერთი ჭორი გავრცელდა. მედიაში გაჟღერდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გასულ წელს ბიძინა ივანიშვილი ბაქრაძესა და გიგა ბოკერიას ბათუმში დახურულ კარს მიღმა შეხვდა.

ბაქრაძესთან დაკავშირებით არჩევნების წინ საინტერესო ამბავი გაიხსენა თავად ივანიშვილმა. მან მედიას განუცხადა, რომ როცა პრემიერი იყო, სტრასბურში ევროსაბჭოს სხდომის მიმდინარეობისას შეხვდა საპარლამენტო უმცირესობის ლიდერს და მას ნაციონალებისგან წამოსვლა შესთავაზა. ივანიშვილის თქმით, მათი საუბარი 2 საათზე მეტ ხანს გაგრძელდა.

გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ მეოცნებეები აქტიურად სვამდნენ დავით ბაქრაძის პასუხისმგებლობის საკითხს. მას თბილისის პარლამენტის შენობის დარბევის გამო სხოვდნენ პასუხს. 2012 წლის ზაფხულში თბილისის პარლამენტის შენობის რამდენიმე დარბაზი დაარბიეს. როგორც ითქვა, ამაზე ბრძანება იმჟამინდელმა პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძემ გასცა.

ამ თემაზე ახლა „ოცნებაში“ აღარავინ საუბრობს. სამაგიეროდ, მის მიმართ ნაციონალების მხრიდან ისმის პრეტენზიები. როგორც უკვე აღვნიშნეთ, პარტიის თავმჯდომარის პოსტზე მისი კანდიდატურა მოიაზრება. ეს ინფორმაცია რამდენიმე კვირის წინ პარლამენტის ვიცესპიკერმა სერგი კაპანაძემ დაადასტურა. მან ისიც კი აღნიშნა, რომ ბაქრაძეს სააკაშვილზე მაღალი რეიტინგი აქვს.

მიუხედავად იმისა, რომ ამ თემაზე დიდი ხანია მიდის მითქმა-მოთქმა, ბაქრაძემ კომენტარი მხოლოდ ახლახან გააკეთა.

საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი რუსთავი 2-თან საუბარში აცხადებს, რომ ყრილობაზე პარტიის თავმჯდომარის თანამდებობაზე მისი კანდიდატურის დაყენებას არ აპირებს,

– პარტიის ამ ყრილობაზე არ ვაპირებ ჩემი კანდიდატურის დაყენებას პარტიის თავმჯდომარედ, – განაცხადა დავით ბაქრაძემ.

მართალია, თავად არ აპირებს თავმჯდომარეობას, მაგრამ პარლამენტში მოხვედრილი ნაციონალების მსგავსად მიიჩნევს, რომ კარგი იქნება, თუ პარტიას საქართველოში მოღვაწე ნაციონალი უხელმძღვანელებს.

– თუ ჩემი პირადი აზრი გაინტერესებთ, მეც ვიხრები იქით, რომ ნაციონალური მოძრაობის განვითარებისთვის, მომავლისთვის, დამატებითი ხმების მიღებისთვის კარგი იქნება, რომ პარტიას ჰყავდეს ადგილზე მოქმედი თავმჯდომარე. ეს არ აკნინებს მისი დამფუძნებლისა და ლიდერის დამსახურებასა და ფუნქციას პარტიის წინაშე. ვგულისხმობ მიხეილ სააკაშვილს, მაგრამ ყველამ ვიცით, რომ ის ამჟამად, პოლიტიკური დევნის გამო, უკრაინაშია, ამიტომ, მასთან ერთად რომ აქ იყოს ადამიანი, რომელიც იქნება პარტიის თავმჯდომარე, ზოგადად, ვფიქრობ, რომ ეს პარტიისთვის კარგია, – განაცხადა ბაქრაძემ.

პარტიის ყრილობა რომ 20 იანვარს ჩატარდება, ამის შესახებ გადაწყვეტილება პარტიის პოლიტსაბჭომ რამდენიმე კვირის წინ მიიღო. პარტია მრავალრიცხოვანი, 7.000-იანი ყრილობის გამართვას აპირებს.

პარტიის აქტივისტებთან ნაცმოძრაობის ორივე ფრთა აქტიურად მუშაობს. პარლამენტში შესულები ახალი თავმჯდომარის არჩევას უჭერენ მხარს, პარლამენტს მიღმა დარჩენილები კი ითხოვენ, რომ სააკაშვილის საქართველოში დაბრუნებამდე ეს პოსტი ვაკანტური დარჩეს.

როგორც „ახალ თაობას“ ნაცმოძრაობასთან დაახლოებულმა წყარომ განუცხადა, სასწორი პარლამენტს მიღმა დარჩენილი ნაციონალების მხარეს გადაიხარა.

– ახლა ცდილობენ, რომ დრო გაიყვანონ. ეს დრო პარტიის წევრებზე ზეწოლისთვის სჭირდებათ. ეს პროცესი დაწყებულია, – განუცხადა წყარომ „ახალ თაობას“.

ამ ინფორმაციას პარტიაში კატეგორიულად უარყოფენ. ამასთან, პარლამენტში მოხვედრილები, რომლებსაც ბოკერიას ფრთადაც მოიხსენიებენ, ყრილობის გადატანას უჭერენ მხარს.

ამ ინიციატივით დავით ბაქრაძეც გამოვიდა. ის ამ საკითხის დაყენებას პოლიტსაბჭოს სხდომაზეც აპირებს. ყრილობის გადადების მოტივად ის თანაპარტიელების მოჭარბებულ ემოციებს ასახელებს.

– ამ საკითხს პოლიტსაბჭოზე დავაყენებ. უნდა გადავდოთ ეს ყრილობა, რომელიც ასეთ წინააღმდეგობრივ ფონზე ტარდება, ამხელა ემოციებს იწვევს. გადავდოთ, დავსხდეთ, დავწყნარდეთ, დავილაპარაკოთ და ვეცადოთ, რომ მომავალი და ერთიანობა შევინარჩუნოთ, – აღნიშნა ბაქრაძემ.

მან მიხეილ სააკაშვილი ამორალური განცხადებების გაკეთებაშიც დაადანაშაულა. დავით ბაქრაძის თქმით, ნაპრეზიდენტალის საჯაროდ გაკეთებული შეფასებები პარტიაში აჩენს სერიოზულ ცუდ მოლოდინებს, რამაც, შესაძლოა, მოიტანოს ცუდი შედეგებიც. მან თანაგუნდელებს მეტი სიფრთხილისკენ მოუწოდა.

– მიხეილ სააკაშვილის ჩართვა ზუგდიდში, სადაც მან პარტიის ლიდერების ნაწილს უწოდა მოღალატეები, უკვე მორალური ზღვარიც აღარ არის პარტნიორებთან დამოკიდებულების, როდესაც პარტიის ლიდერი თანაგუნდელებს უწოდებს მოღალატეებს, რა თქმა უნდა, აქ ჩნდება უკვე უფსკრული, რომლის შევსებაც ძალიან რთულია, – განაცხადა საპარლამენტო უმცირესობის ლიდერმა.

◆ ◆ ◆

პარტიაში არსებულ დაძაბულობას უკრაინაში დაბანაკებული მიხეილ სააკაშვილიც ადასტურებს. ამის მიუხედავად, ის ყრილობის გადადების აუცილებლობას ვერ ხედავს.

როგორც მიხეილ სააკაშვილი ფეისბუქის საკუთარ გვერდზე წერს, ყრილობის გადადების ყველანაირი მცდელობა იმ ხალხის მხრიდან, რომელიც ჩქარობდა ყრილობის მოწვევას უკვე 27 დეკემბერს, საფუძველს მოკლებულია.

– დავით ბაქრაძემ გიორგი გაბუნიასთან ინტერვიუში განაცხადა, რომ მე მათ ვუწოდე მოღალატეები. არცერთ საჯარო თუ შიდა პარტიულ გამოსვლაში მე სიტყვა „მოღალატე“ არ გამომიყენებია. სამწუხაროა, რომ სერიოზულ ადამიანს უხდება (იმედს ვიტოვებ, გაუცნობიერებლად) უხეში ტყუილის თქმა, თანაც ისეთის, რომელიც ძალიან ადვილი გადასამოწმებელია.

20 იანვარს უნდა ჩატარდეს ყრილობა ცივილიზებულად და ურთიერთპატივისცემის პირობებში და პარტიის მართვა დაუბრუნდეს მის აქტივს. ყრილობის გადადების ყველანაირი მცდელობა იმ ხალხის მხრიდან, რომელიც ჩქარობდა ყრილობის მოწვევას უკვე 27 დეკემბერს, საფუძველს მოკლებულია. მე ყოველდღე ვერთვები ჩვენს ათასობით აქტივისტს მთელ საქართველოში და კარგად ვიცი, რომ ისინი მზად არიან ყრილობის მაღალ დონეზე ჩასატარებლად, – აცხადებს მიხეილ სააკაშვილი.

გაკეთებული განცხადებების გამო დავით ბაქრაძე ჩიორა თაქთაქიშვილმაც დაგმო. მან ნასპიკერალს სოციალური ქსელით საჯაროდ მიმართა და მასში სირცხვილის გრძნობის გაღვიძებას შეეცადა.

– ბატონო დავით, ნუთუ არ გრცხვენიათ?! ვისგან გაიგეთ, რომ არჩევნების გზა ვინმესთვის პარტიაში მიუღებელია? ვისგან გაიგეთ, რომ ნაციონალური მოძრაობა უშეცდომო იყო? ვისგან გაიგეთ, რომ ნაციონალურ მოძრობაში ვინმეს ქვეყანაში არეულობა სურს?

ფსბ-სა და სუსის გაყალბებული ჩანაწერებიდან?!!! ივანიშვილ-კობახიძის ბრალდებებიდან?

ის პარტია, რომლის ლიდერი იქნება ადამიანი, რომელსაც არ ესმის, რომ ივანიშვილის რეჟიმი გააყალბებს არჩევნებს, კვლავაც დააშინებს, მოისყიდის და გადაწერს არჩევნების რეალურ შედეგებს, რომელსაც არ ესმის, რომ ხალხის ნებას სჭირდება დაცვა როგორც არჩევნებამდე, ისე არჩევნების დღეს, ვერასოდეს მოუგებს ივანიშვილს არჩევნებს. ასეთი ლიდერების პარტია განწირულია „სტაბილურობა, სიმშვიდის“ სარჩულით ივანიშვილის რეჟიმის დროებით ოპოზიციად ყოფნისა და შემდგომ უკვალოდ გაქრობისთვის, – წერს ჩიორა თაქთაქიშვილი.

კვირიკაშვილს გაახარია შეცვლის?

დაბრუნდება თუ არა პოლიტიკაში უსუფაშვილი

შორენა მარსაგიშვილი

მომავალი წლის დასაწყისში საქართველოს მთავრობაში საკადრო ცვლილებებს ელოდებიან. საპარლამენტო ოპოზიციამ უკვე დაიბარა საკანონმდებლო ორგანოში მთავრობის ეკონომიკური გუნდი. პატრიოტთა ალიანსის ლიდერი ირმა ინაშვილი არ გამორიცხავს, რომ რამდენიმე მინისტრი ციხეშიც კი აღმოჩნდეს.

„ქართულ ოცნებაში“ ამ განცხადებას სასაცილოდ მიიჩნევენ, თუმცა მდგომარეობის სიმძიმეზე ისინიც ალაპარაკდნენ. წინა კვირაში საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა რევაზ არველაძემ ღიად განაცხადა, რომ საქმე შავად არის.

ის პირველი მეოცნებეა, რომელმაც ასეთი რამე აღიარა. დანარჩენები დღემდე პირველ ჩვენებას აწვებიან – ამტკიცებენ, საქართველოში ყველაფერი კარგად არისო.

ოპოზიციის ნაწილმა არველაძის განცხადება შიდაპარტიულ დაპირისპირებად შეაფასა. არველაძე კახა კალაძის კადრად ითვლება. კალაძე კი, როგორც ამბობენ, კვირიკაშვილზე ნაწყენია. რამდენიმე თვის წინ პრემიერმა კალაძე ჩამოალაბორანტა და ჩვეულებრივ ვიცეპრემიერად დატოვა, დიმიტრი ქუმსიშვილს კი პირველი ვიცეპრემიერობა უბოძა. ვითარება არც არჩევნების შემდეგ შეიცვალა, არადა, კალაძემ არჩევნების მოსაგებად ბევრი იმუშავა.

მთავრობაში რომ პრემიერის შემცვლელზე საუბარი დაწყებულია, ამ ვარაუდს ექსპერტი გია ხუხაშვილიც გამოთქვამს. დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს ერთ-ერთი ლიდერი გიგლა ბარამიძე კი ამბობს, რომ ამ საკითხზე, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლების გარდა, დეპუტატებიც აქტიურად მუშაობენ.

დაუზუსტებელი ინფორმაციით, მომავალი პრემიერის პოსტზე რამდენიმე კანდიდატურა განიხილება. ერთ-ერთი მათგანი, შესაძლოა, ეკონომიკის მინისტრი გიორგი გახარია იყოს. მინისტრის თანამდებობის დაკავებამდე მას ბიზნესომბუდსმენის პოსტი ეკავა.

გახარიას კვალიფიკაციას „ქართულ ოცნებაში“ ყველა იწონებს, მაგრამ მის შესაძლო გაპრემიერებაზე არ საუბრობენ. მთავრობაში ცვლილებები რომ არ იქნება, ამაზე თავს ვეღარ დებენ, მხოლოდ იმას ამბობენ, რომ მთავრობა ამ ეტაპზე კარგად მუშაობს.

„ქართული ოცნების“ კულუარებში გავრცელებული ინფორმაციით, დავით უსუფაშვილთან მხოლოდ კონსტიტუციის საკითხზე არ დაუწყიათ კონსულტაციები. პარტიაში არ გამორიცხავენ, რომ ეს, შესაძლოა, უსუფაშვილის პოლიტიკურ ველზე ხელახლა შემოსაყვანი საბაბი იყოს. არ გამორიცხავენ, რომ მან მთავრობაში მაღალი თანამდებობა, მათ შორის პრემიერის პოსტიც კი მიიღოს. მას ამ თანამდებობას ბიძინა ივანიშვილი ერთხელ უკვე სთავაზობდა.

საპარლამენტო არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე მას პარლამენტის თავმჯდომარედ მეორედ არჩევაც გარანტირებული ჰქონდა. ამისთვის კი რესპუბლიკური პარტია უნდა დაეტოვებინა.

პარტია მან მხოლოდ არჩევნების შემდეგ დატოვა. პარტიიდან წამოსვლის შემდეგ ის საკონსტიტუციო კომისიაში სამუშაოდ მიიწვიეს. „ოცნებაში“ თანხმდებიან, რომ უსუფაშვილი დაკარგა კაცი არ არის, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც რესპუბლიკელებს განუდგა.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

შალვა შავგულიძე: „თუ პრეზიდენტს „ქართული ოცნება“ დანიშნავს, მაშინ მას სრულად გააკონტროლებს“

ნათია ხურცილავა

თავისუფალი დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერი შალვა შავგულიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საკონსტიტუციო კომისიის მუშაობაზე საუბრობს.

– ბატონო შალვა, თქვენ კომისიის მუშაობაში მონაწილეობთ. რა საკითხებზე გაამახვილებთ ყურადღებას და როგორი იქნება თქვენი პოზიცია?

– უკვე ცნობილია, რომ კომისია აპირებს, კონსტიტუციური ცვლილება განახორციელოს პრეზიდენტის არჩევის წესთან დაკავშირებით. ეს ძალიან ცუდი იქნება. ამით მოხდება ხელისუფლების სრული უზურპაცია. პრეზიდენტის ინსტიტუტი არის ერთადერთი ინსტიტუტი, რომელიც მმართველი ძალის კონტროლის ქვეშ არ არის მოქცეული. თუ ასეთი კონსტიტუციური ცვლილებები გატარდება და პრეზიდენტს „ქართული ოცნების“ საპარლამენტო უმრავლესობა დანიშნავს, მაშინ ეს პრეზიდენტის ინსტიტუტის ცალსახა კონტროლი იქნება.

– თქვენი პოზიცია როგორია?

– ცხადია, ჩვენ შევეწინააღმდეგებით. ჩვენ ვფიქრობთ, რომ რეალურად ეს კომისია კონსტიტუციის გასაკეთილშობილებლად კი არა, მმართველი ძალის ინტერესების გასატარებლად არის შექმნილი.

– ამის არგუმენტის დასახელება შეგიძლიათ?

– თუნდაც ის, რომ კომისიამ აპრილის ბოლომდე უნდა იმუშაოს. სამ თვეში უნდა დაასრულოს ამ კომისიამ მუშაობა. მოგეხსენებათ, იანვარი არდადეგების თვეა. სამ თვეში არათუ კონსტიტუციური ცვლილებების გატარება და სერიოზული კონსენსუსის მიღწევა, უბრალოდ, ჩამოყალიბებაც კი შეუძლებელია. წარმოიდგინეთ, რომ კომისიის სუბიექტებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ხედვა, კომისიამ უნდა იმსჯელოს ამ ყველაფერზე, შეჯერდეს რაღაც პოზიციებზე და შემდეგ ეს ყველაფერი საკანონმდებლო ინიციატივის ფორმით ჩამოაყალიბოს.

ამ ყველაფერს როგორ შეიძლება, სამი თვე ეყოს?! ეს, უბრალოდ, წარმოუდგენელია. ალბათ, „ქართულ ოცნებას“ წინასწარ აქვს განსაზღვრული, თუ რა კონკრეტულ ცვლილებებზე იმუშავებს. ერთი საკითხი, სავარაუდოდ, იქნება პრეზიდენტის არჩევის წესის შეცვლა და მის გაფორმებას სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის სახელით ნამდვილად ეყოფა სამი თვე.

კიდევ ერთი არგუმენტი არის ის, რომ პრეზიდენტს არ მიეცა შესაძლებლობა, კომისიის თანათავმჯდომარე ყოფილიყო. ვერანაირი არგუმენტი ვერ მოვისმინეთ, თუ რატომ არა.

– უმრავლესობის მხრიდან არგუმენტები დასახელდა.

– ეს არის მოგონილი არგუმენტი, რომ პრეზიდენტს არ აქვს კონსტიტუციური ცვლილებების ინიცირების უფლება, საკანონმდებლო ინიციატივის შესაძლებლობა და რომ ეს კომპეტენცია აქვს პარლამენტის წევრთა ნახევარზე მეტს, ეს გაუმართლებელი და სრულიად უსაფუძვლო მიზეზია. თუ ამ ლოგიკას გავყვებით, მაშინ კონსტიტუციური ცვლილების ინიცირების უფლება აქვს ასევე 200 ათას ადამიანს და რა ვქნათ, 200 ათასი კაცისგან შემდგარი კომისია შევქმნათ?!

კონსტიტუციური ცვლილების ინიცირების უფლება არ აქვს არცერთ მეცნიერს, არცერთ არასამთავრობო ორგანიზაციას, ექსპერტს და არ ჩავრთოთ ეს საზოგადოება კომისიის მუშაობაში?! რა თქმა უნდა, აქ ლოგიკა არ არის.

ასევე გაუგებარია, რა ლოგიკით არის პრეზიდენტის ინსტიტუტისთვის შეთავაზებული მხოლოდ 2 ადგილი, მაშინ როდესაც 23 წევრით არის საპარლამენტო უმრავლესობა კომისიაში წარმოდგენილი.

– მიუხედავად ამ კითხვის ნიშნებისა, რომლებიც გაქვთ, მაინც მონაწილეობთ კომისიის მუშაობაში?

– დიახ, მიუხედავად ამ ნეგატიური გარემოებებისა, ჩვენ გადავწყვიტეთ, კომისიაში მონაწილეობა მივიღოთ და აქტიური შეწინააღმდეგებითა და ჩართულობით უფრო ეფექტურები ვიყოთ, ვიდრე უარი ვთქვათ და უბრალოდ პროტესტი გამოვხატოთ კომისიის მიღმა. ჩვენ ვერთვებით მუშაობაში იმ იმედით, რომ ნეგატიურ ცვლილებებს შევეწინააღმდეგოთ. ვნახოთ, რამდენად გამოგვივა.

– კონკრეტულად რა შეთავაზებები, წინადადებები გექნებათ კომისიისთვის?

– სამი შეთავაზება გვექნება: ერთი, საარჩევნო სისტემის შესახებ – მაჟორიტარული არჩევნები გაუქმდეს, რაც იყო „ქართული ოცნების“ დაპირება ამომრჩევლისადმი.

მეორე შეეხება სამართლის სფეროს, კონკრეტულად, პროკურატურას. არსებული მოდელი, როგორც ჩანს, არ ამართლებს. სახეზე გვაქვს პოლიტიზებული პროკურატურა. ბოლო ცვლილებები, რომლებიც განხორციელდა პროკურატურის შესახებ კანონში, ვენეციის კომისიის მიერ არ იქნა დადებითად შეფასებული. ჩვენი შეთავაზება იქნება, რომ პროკურატურის სისტემა აღმასრულებელი ხელისუფლებიდან გამოიყვანონ.

მესამე შეთავაზება იქნება, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გაეზარდოს კომპეტენცია და მიეცეს საერთო სასამართლოების შემაჯამებელი გადაწყვეტილებების შეფასების უფლება. ჩვენ ვნახეთ სასამართლო სისტემის რეფორმა, რომელიც „ტალღებად“ მოინათლა, რითიც დასრულდა. ფაქტობრივად, სრული კონტროლი მოხდა როგორც იუსტიციის უმაღლეს საბჭოზე, ისე საერთო სასამართლოთა სისტემაზე.

კონტროლი იმდენად დიდია, რომ პერსონალიებიც კი არ არის შეცვლილი. უპირატესად ახალი ვადით დაინიშნენ ის მოსამართლეები, რომელთა მიერ ჩადენილი უსამართლობის გამოსწორების ლოზუნგით მოვიდა ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში. ამ მოსამართლეების საქმეები ყველაზე ნეგატიურად არის შეფასებული ევროპული სასამართლოს მიერ. მათ თავი გამოიჩინეს წინა ხელისუფლების მსახურებაში.



პატრიარქის მდგომარეობა საშუალო სიმძიმისაა

– პატრიარქის მდგომარეობა ამ დროისთვის საშუალო სიმძიმისაა.

ამის შესახებ განცხადება, საპატრიარქოს ჯანდაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა გააკეთა.

ექიმ ცისანა შარტავას ინფორმაციით, ილია მეორეს, სავარაუდოდ, აქვს ინფექცია გრიპის ვირუსით, რომელიც მაღალი ტემპერატურის ფონზე მიმდინარეობს.

– პატრიარქის მდგომარეობა ამ დროისთვის საშუალო სიმძიმისაა. სავარაუდოდ, აქ არის ინფექცია, გრიპის ვირუსით. დაავადება მაღალი ტემპერატურის ფონზე მიმდინარეობს. სპეციალისტები ყველაფერს აკეთებენ სავარაუდო გართულებების თავიდან ასაცილებლად. ღვთის შეწევნით, ყველაფერი კარგად იქნება, – განაცხადა ცისანა შარტავამ.

პირველი რადიო

ირაკლი კობახიძეს პრეზიდენტის ადმინისტრაციის იმედი აქვს

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი სამწუხარო გარემოებას, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაციამ კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მიღებაზე უარი განაცხადა.

ამის შესახებ კობახიძემ სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის პირველი სხდომის გახსნის დროს განაცხადა.

– მე კიდევ ერთხელ მინდა, ხაზი გავუსვა იმ სამწუხარო გარემოებას, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაციის მხრიდან ამ ეტაპზე უარია მიღებული კომისიაში მუშაობაზე. თუმცა, მინდა კიდევ ერთხელ გამოვთქვა იმედი, რომ პროცესში პრეზიდენტის ადმინისტრაციის გადაწყვეტილება გადაიხედება და, საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფილი იქნება ამ კონსტიტუციური ორგანოს აქტიური ჩართულობა კომისიის მუშაობაში, – აღნიშნა ირაკლი კობახიძემ.

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია 73 წევრით დაკომპლექტდა.

მედიანიუსი

2016, 26 დეკემბერი, №306

ობამამ საქართველოსა და უკრაინისათვის თავდაცვის სფეროში თანხების გამოყოფას მხარი დაუჭირა

აშშ დეზინფორმაციისგან მოკავშირეებსაც დაიცავს

მარიამ მჭედლიშვილი

აშშ-ის მოქმედმა პრეზიდენტმა ხელი მოაწერა კონგრესის მიერ მიღებულ კანონს, რომელიც 2017 წლის თავდაცვის ბიუჯეტს ეხება. მასში გათვალისწინებულია საქართველოსა და უკრაინისათვის დახმარების გაწევა. ამასთან, აშშ-ს ეკრძალება რუსეთთან ყოველგვარი სამხედრო თანამშრომლობა მანამ, სანამ თავდაცვის მინისტრი ან სახელმწიფო მდივანი არ დაარწმუნებენ კონგრესს, რომ რუსეთმა უკრაინის ნაწილის ოკუპაცია შეწყვიტა.

ბარაქ ობამამ ასევე მიიღო გადაწყვეტილება აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში უცხოურ პროპაგანდასთან და დეზინფორმაციასთან ბრძოლის ცენტრის შექმნის შესახებ. საუბარია ისეთ საინფორმაციო მასალებზე, რომლებიც საშიშია ამერიკის, ასევე მისი მოკავშირეებისა და პარტნიორების უსაფრთხოებისათვის.

სპეციალური სამსახური შეიმუშავებს ყალბი ინფორმაციის უარყოფის ტაქტიკასა და პროცედურას.

დეზინფორმაციის გამავრცელებლებში, საკვარაუდოდ, პირველ რიგში, იგულისხმება რუსეთი, შესაძლოა – ჩინეთიც. პრეზიდენტის თანაშემწე ბენ როდსმა განაცხადა, რომ ჩინეთი აშშ-სთვის უფრო მეტი საფრთხის შემცველია, ვიდრე რუსეთი.

– რუსეთი საერთაშორისო წესრიგისათვის წამიერი საფრთხეა. რაც შეეხება ჩინეთს, ეს უფრო მძლარი სახელმწიფოა, – აღნიშნავს როდსი.

ექსპერტები ამერიკა-ჩინეთის ურთიერთობების გაუარესებას ელიან იმის გამოც, რომ ამერიკის არჩეულმა პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ეროვნული სავაჭრო საბჭოს ხელმძღვანელად დანიშნა ჩინეთთან მკაცრი პოლიტიკის მომხრე პიტერ ნავარო.

სხვა მხრივ, მომავალ საგარეო ურთიერთობებში ტრამპის პოლიტიკა ბევრისთვის ბუნდოვანია.

ამერიკის საგარეო კურსში ცვლილებებს არ გამორიცხავენ პოლონელი ჟურნალისტები.

ისინი იმედოვნებენ, რომ ეს ტრამპის პრეზიდენტობის სიახლე პირველ წლებში მაინც არ მოხდება. პოლონელ ექსპერტებს იმედი აქვთ, რომ ამერიკული ჯარების პოლონეთში განთავსებას წინ არაფერი დაუდგება, რაც მომავალი წლიდან უნდა დაიწყოს. შესაბამისი გადაწყვეტილება კონგრესმაც მიიღო და ამის შედეგად ობამამ გამოყო 1 მილიარდი დოლარი ნატოს აღმოსავლეთ ფლანგის გასაძლიერებლად.

მიმომხილველების შეფასებით, ეს არ დაუჯდება ამერიკას ძვირი არც ფინანსური და არც საორგანიზაციო მხრივ, მთავარი კი გეოპოლიტიკური ფაქტორია.

დასავლელი ანალიტიკოსების აზრით, ბოლო დღეებში გამოიკვეთა ბირთვული გამალებული შეიარაღების ნიშნები. აშშ-ის ბირთვული არსენალის გაფართოების აუცილებლობაზე განცხადება გააკეთა დონალდ ტრამპმა. ამას მოჰყვა ვლადიმერ პუტინის ფრაზა იმის თაობაზე, რომ საჭიროა ბირთვული ძალების პოტენციალის ზრდა სარაკეტო კომპლექსების ხარჯზე.

ექსპერტები წერენ, რომ აშშ ახალ ბირთვულ იარაღზე, მათ შორის, მცირე სიმძლავრის ტაქტიკურ რაკეტებზე მუშაობს. ბირთვული იარაღის მასშტაბური მოდერნიზაციით დაკავებულია რუსეთიც.

მათი აზრით, ამ ორი სახელმწიფოს ნაბიჯებს სხვა ბირთვული სახელმწიფოებიც – ჩინეთი, ინდოეთი, პაკისტანი მიბაძავენ და საკუთარ ბირთვულ არსენალს გაზრდიან.

ამასთან, არ არის გამორიცხული პუტინისა და ტრამპის მოლაპარაკებები და ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობის ნორმალიზება.

თენგიზ დიხამინჯია: „სამოქალაქო ომის შედეგებს დღემდე ვიმკით“

გულიკო ბალაძე

1991 წლის 22 დეკემბერს რუსთაველზე გასროლილმა ტყვიამ არა მხოლოდ 1990 წელს არჩეული ხელისუფლებისა და ზვიად გამსახურდიას ტრაგიკული ბედი განსაზღვრა, არამედ ქვეყნის ნგრევაც გამოიწვია. ყოფილი უზენაესი საბჭოს ყოფილი დეპუტატი თენგიზ დიხამინჯია „ახალ თაობასთან“ 1991-92 წლების დიდი დაპირისპირების შიდა და გარე ფაქტორებს აანალიზებს.

– ბატონო თენგიზ, 25 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც 22 დეკემბერს რუსთაველზე ომი დაიწყო. მას შემდეგ ქვეყანამ უამრავი კატაკლიზმა გამოიარა. დღევანდელი გადასახედიდან რას ფიქრობთ?

– დღევანდელი გადასახედიდან კიდევ ერთხელ მკაფიოდ გამოჩნდა, თუ რამხელა დანაშაულებრივი შეცდომა იქნა დაშვებული საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის მხრიდან, როცა სამოქალაქო-პოლიტიკური დაპირისპირება გადავიდა კრიმინალურში, ბანდიტურში, რამაც გამოიწვია, ფაქტობრივად, სახელმწიფოს ხერხემალში გადატეხა. დღესაც ვიმკით 22 დეკემბერს დაწყებული ომის შედეგებს. ჩვენ ბოლომდე ვერ მოვახერხეთ გადატრიალების შედეგების ლიკვიდაცია კონსტიტუციურად, სამართლებრივად, სამოქალაქო დონეზე. ვერ გავთავისუფლდით ამ კომპლექსისგან.

– რატომ ვერ მოვახერხეთ შედეგების ლიკვიდაცია, მიზეზი კომპლექსია?

– კომპლექსია, რომელსაც ყველა ხელისუფლება თავის თავში ატარებს, მათ შორის, დღევანდელიც.

– ფაქტობრივად, თბილისის ომის შემოქმედნი არ დასჯილან და არც მგონია, რომ მათ ოდესმე ვინმემ პასუხს მოსთხოვს. ზოგი გარდაცვლილია. ცოცხლებს კი არავინ ეხება. გასაოცარია, რომ, მაგალითად, კიტოვანი თავისუფლად და მშვიდად დადის თბილისის ქუჩებში და მათ სახელმწიფო სტრუქტურებიდან კითხვასაც არავინ უსვამს, თუ რატომ ჩაიდინა აღნიშნული დანაშაული.

– ასე არა მხოლოდ კიტოვანის მიმართ ხდება. ეს იმის ბრალია, რომ სახელმწიფოებრივი ინსტიტუტები სამართლიანად არ ფუნქციონირებენ, პროკურატურა სისხლისსამართლებრივ დევნას არ ახორციელებს გადატრიალების ორგანიზატორების წინააღმდეგ, სასამართლოში საქმე არ არის განხილვადი.

დღევანდელი პარლამენტის მაღალ ეშელონებშიც არიან ვიცესპიკერები, რომლებმაც კარიერა, ფაქტობრივად, აქედან გაიკეთეს და დღესაც წარმატებით აგრძელებენ თავიანთ პოლიტიკურ საქმიანობას, მაგრამ თვითონ ეს ადამიანებიც ამ თემას „ლაითად“ უყურებენ და ამის მნიშვნელობას, ეტყობა, ვერ აცნობიერებენ.

მიშა სააკაშვილის დროს იყო რაღაც პატარა მცდელობა, ოღონდ ეს შემდგომ გადაიზარდა თვითკმაყოფილებასა და, ფაქტობრივად, სამეგრელოს მოსახლეობის რევანშისტული იდეების რეალიზაციაში. როგორც კი შევარდნაძის დამხობა მოხდა, სამართლიანობის აღდგენის იდეა თაროზე შემოდეს. შემდგომში პერმანენტულად თითქოს ხდებოდა ამ თემის გააქტიურება. დღევანდელი ხელისუფლებაც სპეკულირებს ამ თემით.

– რას გულისხმობთ?

– გამოვლინებებზე ვლაპარაკობ.

– სამართლებრივი შეფასების ნებას ვინ შეიძლება არ იძლეოდეს?

– ქვეყნის გარეთ მყოფი ძალები, რომლებმაც, ფაქტობრივად, მწვანე შუქი აუნთეს კონსტიტუციურ-სახელმწიფოებრივი წყობის დამხობას. იგულისხმება დასავლური ძალები. რუსები, უბრალოდ, შემსრულებლები იყვნენ. ხელისუფლების დამხობის ყველანაირი წამქეზებლები იყვნენ.

– წინასწარ საუბრებისას მითხარით, რომ შეიძლება რაღაც საშინელებები გაიხსენოთ. მაშინდელი პროცესებიდან ჯერ კიდევ არის ისეთი ფაქტები, რომლებიც ცნობილი არ არის საზოგადოებისათვის?

– არა. შეიძლება, რაღაც ეპიზოდები და გამოვლინებები გამახსენდეს. მეტი საშინელება რა არის, როდესაც ქვეყნის სუვერენიტეტი იავარქმნილია, როდესაც უგულებელყოფილია სამართლებრივი სივრცის დამკვიდრების აუცილებლობა, აფხაზეთის, სამაჩაბლოს, უძრავ-მოძრავი ქონების თემები, მიწაწყლის პრობლემა.

ზვიად გამსახურდია წინასწარ ხედავდა, საქართველოს ეროვნული სხეულის ერთიანობის პრობლემა რომ დადგებოდა და, ფაქტობრივად, ამას შეეწირა.

– კომპლექსი მოქმედებსო, ამბობთ.

– კომპლექსი მოქმედებს, რომელიც თავისუფლების იდეასა და ჭეშმარიტებას ზღუდავს.

– თქვენ სხვადასხვა დროს მხარეებს შორის მოლაპარაკებებში მონაწილეობდით. რა ვერ გადაილახა და რატომ ვერ შეთანხმდნენ მხარეები, რამაც საბოლოოდ ქვეყანას ავნო?

– ბევრი მომენტი იყო, მათ შორის, გლობალური საკითხები და პრობლემები ფიგურირებდა.

– რა გლობალური პრობლემები იყო?

– გლობალური პრობლემა იყო ზვიად გამსახურდია თავისი სულიერი და ეროვნული მსოფლმხედველობით.

– ასეთი გამსახურდია მიუღებელი იყო?

– რბილად რომ ვთქვათ, მიუღებელი იყო იმ ძალებისთვის, რომლებიც დღემდე განაგებენ მსოფლიოს.

– კერძოდ?

– ახალი მსოფლიო წესრიგის არქიტექტორები. ასეთი ძალები მაშინაც არსებობდნენ. დღეს ტრამპის შემდეგ რაღაც ახალი სივრცე გამოჩნდა და ამის თქმა უკვე შეიძლება. ათასგვარი ისტორიული პროცესი მიმდინარეობდა – საბჭოთა კავშირის დაშლა თუ შენარჩუნება, დსთ-ის, რუსეთის ყოფნა-არყოფნის მომენტი, პოსტსაბჭოთა პროცესებზე რუსეთის ზეგავლენა და მისი შენარჩუნება.

გამსახურდია, ფაქტობრივად, თავისებურ კოლაფსში აღმოჩნდა. ურთულესი პერიოდი იყო და ურთულესი იყო უშეცდომოდ ამ პერიოდის გავლა, ისეთი ძალები იყვნენ ჩართული. თვითონ კავკასიის თემა და მთელი რიგი საკითხები იდგა გლობალურ საკითხთა კონტექსტში, თანაც გამსახურდია ის ადამიანი გახლდათ, რომელიც მოვლენებს ცოტა ასწრებდა. როდესაც შენ შენი აზროვნებითა და მოქმედებებით დროს გაასწრებ, ამას დიდი მოთამაშეები არ გაპატიებენ.

– თქვენ ამ შემთხვევაში გარეფაქტორებზე საუბრობთ.

– დიახ, ამ შემთხვევაში გარეფაქტორებზე ვსაუბრობ.

– შიდაფაქტორები რატომ ვერ გადაილახა?

– უმნიშვნელოვანესი იყო ის, რომ ჩვენს საზოგადოებაში არსებობდა თავისებური სინდრომი, რომელიც დღემდე გრძელდება.

– რა სინდრომი?

– სინდრომი იმისა, რომ ჩვენ არ შეგვიძლია, პიროვნული შეუთავსებლობა თუ სიმპათია-ანტიპათია დავძლიოთ და ტოტალურად გადაგვაქვს პოლიტიკაში, სახელმწიფოებრიობაში.

დღესაც ასეა. პიროვნული დაპირისპირება სახელმწიფოებრივ დაპირისპირებაში გადადის. რაც უფრო გავლენიანი ადამიანები, ინტელიგენციისა თუ სხვადასხვა წრის წარმომადგენლები ერთვებიან ამ თამაშში, მით უფრო ტრაგიკულს სახეს იღებს ეს დაპირისპირება. გამსახურდიას დროს ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იყო, ძალიან მნიშვნელოვანი. თითქოს იმხელა როლი არ ჰქონდა, სინამდვილეში ძალიან დიდ გავლენას ახდენდა.

შემდეგ იყო მოპირდაპირე ბანაკებში გადასვლა, შევარდნაძესთან ჩასვლები, მასთან დივიდენდების მოპოვება, პოსტგამსახურდიას პერიოდისთვის რომ მომზადებულიყვნენ, ყველაფერზე წასულიყვნენ სახელმწიფოს ნგრევის ხარჯზე, თავიანთი თბილი ადგილი მიეღოთ და გადარჩენის ინსტინქტი დაეკმაყოფილებინათ.

– ვის გულისხმობთ?

– ეს ძირითადად ინტელიგენციას ეხება.

– სიგუამ მითხრა, რომ გამსახურდია გაზაფხულზე წავიდოდა იმ დათმობებზე, რომლებსაც ისინი მოითხოვდნენ. როგორც ჩანს, რადიკალური ძალები ჩქარობდნენ, თორემ მათ შეეძლოთ, არჩევნებში მიეღოთ მონაწილეობა და, შესაძლებელია, გაემარჯვათ კიდეც იმ ტალღაზე, რომელიც იყო. რატომ ჩქარობდნენ?

– ხელისუფლებაში შესვლა-არშესვლის მომენტებიც იყო და გარდატეხის პერიოდიც მოქმედებდა. ბევრმა ფაქტორმა განაპირობა მათი აჩქარება. თვითგადარჩენის ინსტინქტიც უბიძგებდა მათ რადიკალური გადაწყვეტილებებისკენ. ამაზე ტომები შეიძლება დაიწეროს. განმუხტვა იყო საჭირო. გამსახურდიამაც თავისი ბერკეტები ბოლომდე ვერ აამოქმედა.

– განმუხტვა ვის უნდა მოეხდინა? ქვეყანაში არსებობდა გავლენიანი ჯგუფი, რომელსაც შეეძლო, გაეჩერებინა ომი?

– სხვათა შორის, პატრიარქის მხრიდან (ჩემი მხრიდან ამ პროცესებს მაქსიმალურად ხელს ვუწყობდი) მღვდლების დელეგაცია იყო გამსახურდიასთან, შუაში ჩადგომაც შესთავაზეს.

– მამა ზაქარიამ ჩემთან ინტერვიუში განაცხადა, რომ იქ არ იყო საუბარი უპირობოდ შუაში ჩადგომაზე.

– მამა ზაქარიას თქმით, ზვიად გამსახურდიას მან შესთავაზა შუაში ჩადგომა.

– თუ გარანტიას მოგვცემთ, რომ არ გვესვრიან, შუაში ჩავდგებითო, გამსახურდიამ კი უპასუხა, მაგის გარანტიას მე ვერ მოგცემთო.

– გამსახურდიამ იცოდა, ერთი პროვოკატორიც რომ გამოჩენილიყო, ხელისუფლებას დაბრალდებოდა. ამიტომ თვითონ გამსახურდიამ თქვა უარი. ვინ გააკონტროლებდა მაგას. სხვადასხვა სპეცსამსახურის წარმომადგენლები დაძრწოდნენ.

თუ მხარეები თავის თავზე ვერ იძლევიან გარანტიას, რომ ტყვია არ იქნება გასროლილი და რომელიმე მხარეს არ დაბრალდება, რისკზე ვერ წახვალ.

ამ შემთხვევაში გამსახურდიამ თქვა, მაინც მე დამბრალდება, ამიტომ ამ ინიციატივას აზრი არ აქვსო. ამით დამთავრდა ეს წამოწყება. მთავარი ის გახლდათ, რომ მხარეებს შორის აბსოლუტური უნდობლობა იყო. ერთმანეთს დასანახავად ვერ იტანდნენ და არანაირი კომპრომისების ზღვარი არ იყო დადგენილი ერთმანეთთან ურთიერთობაში.

– ოპოზიციას გააზრებული ჰქონდა, რა შეიძლება მოჰყოლოდა მის რადიკალურ ქმედებებს?

– ძალიან მცირე ნაწილს ჰქონდა გააზრებული, რა შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა მათ ქმედებებს. მოვლენები ტრაგიკულად განვითარდა – გადაედო სამეგრელოს, აფხაზეთსა და სხვადასხვა კუთხეს. კარგი იქნებოდა, ინტელიგენციასა და მეორე პარლამენტს ამ დიდი დაპირისპირების თუნდაც რაღაც დონეზე ლოკალიზება მოეხდინათ, მაგრამ მათ ამის გაცნობიერების უნარი არ აღმოაჩნდა, რაც აისახა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის პრობლემებზე, სამართლებრივ საკითხებზე და მივიღეთ ის სურათი, რომელსაც დღეს ვხედავთ. ეს უნდა გადაილახოს.

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

ლიბერთი ბანკი
LIBERTY BANK

დაიმატჯიცეთ განვადება წინასწარ

10 წამში

შეავსეთ მარტივი ფორმა და გაიგეთ რა ლიმიტის ფარგლებში
დაგიმტკიცებათ განვადება

ეწვიეთ ჩვენს პარტნიორ მაღაზიებს და
შეავსეთ თქვენი პირადი ინფორმაცია
განვადების სტენდზე

დღეს გავიგებთ, გაიზრდება თუ არა ელექტროენერგიის ტარიფები

გაიზრდება თუ არა ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფები, დღეს, 26 დეკემბერს გახდება ცნობილი.

ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ კომისიაში 26 დეკემბერს, 12:00 საათზე, სხდომაა დანიშნული, რომელზეც სემეკი „თელასსა“ და „ენერგო პრო ჯორჯიას“ 2017 წლის ელექტროენერგიის განაწილების, გატარებისა და მოხმარების ტარიფებს დაუდგენს.

გაიზრდება თუ არა დენის სამომხმარებლო ტარიფები, სემეკში წინასწარ პროგნოზს არ აკეთებენ და აცხადებენ, რომ 26 დეკემბერს შესაბამისი დეპარტამენტი წარმოადგენს დადგენილების პროექტს, რომელსაც სემეკი კენჭს უყრის და გადაწყვეტილება ამის შემდეგ იქნება მიღებული.

სემეკის მიერ 26 დეკემბერს დადგენილი ტარიფები ძალაში შევა 2017 წლის 1 იანვრიდან და იმოქმედებს 2017 წლის 31 დეკემბრამდე.

2017 წელს 2 ახალ ორსართულიან ელექტრომატარებელს შემოიყვანენ

შვეიცარიული კომპანია კიდევ 2 ახალ ორსართულიან ელექტრომატარებელს, რომლებიც თბილისიდან შავი ზღვის კურორტების მიმართულებით იმოძრავებენ, 2017 წლის მარტში შემოიყვანს.

როგორც „სითი კვირას“ „საქართველოს რკინიგზის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა დაჩი ცაგურიამ განუმარტა, შვეიცარიული კომპანიის მიერ წარმოებული, ულტრათანამედროვე ორი ორსართულიანი ელექტრომატარებელი საქართველოში ზაფხულში შემოიყვანეს, რომლებიც თბილისიდან შავი ზღვის სანაპიროსკენ მიმავალ 400-მდე მგზავრს 25 ივლისიდან ემსახურებიან. მომსახურების გაუმჯობესების გამო მგზავრობის საფასური არ გაზრდილა.

მისივე თქმით, ახალი მატარებლები აღჭურვილია ულტრათანამედროვე ტიპის უსაფრთხოების სისტემებით, რომლებიც ყველა სტანდარტის მოთხოვნებთან არის შესაბამისობაში.

მატარებლის ტექნიკური მონაცემები სრულად შეესაბამება საქართველოს რკინიგზის მოთხოვნებს და აკმაყოფილებს საქართველოს რკინიგზის მოქმედ გაბარიტებს.

მატარებელი ასევე გათვლილია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საჭიროებაზე.

კომერსანტ-გე

რა ღირს ახალი წლის შეხვედრა საქართველოს ცნობილ სასტუმროებში



საახალწლოდ საქართველოს ცნობილი სასტუმრო კომპლექსები მომხმარებელს სხვადასხვა პროგრამას სთავაზობენ. თბილისის გარეთ მდებარე ძვირადღირებულ სასტუმროებში ახალი წლის გატარება საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა.

ღოპოტა

კახეთში მდებარე ღოპოტა სპა რეზორტს ახალი წლისთვის სპეციალური შეთავაზება აქვს. ღოპოტას საახალწლო პროგრამა 3 ღამეს მოიცავს და ტური 2 ადამიანზე 980 დოლარი ღირს.

საახალწლო პროგრამა 31 დეკემბრის საღამოს დაიწყება და 2 იანვრამდე გასტანს, რომელიც ასევე ითვალისწინებს ბავშვებისთვის სპეციალურ გასართობებსა და სხვადასხვა ღონისძიებას.

ყაზბეგი ჰუმსი

ყაზბეგში მდებარე სასტუმრო რუმსს ახალი წელს სპეციალური ფასები აქვს დაწესებული. რუმსში ახალი წლის გატარება 2 ადამიანზე 649 დოლარი ჯდება, თუმცა ადგილობრივ სტუმრებზე 40%-იანი ფასდაკლება მოქმედებს.

ფასები განსხვავებულია ოთახების მიხედვით, გერგეტზე ხედით ოთახის აღების შემთხვევაში, უცხოელი ტურისტებისთვის ფასი 767 დოლარია, ხოლო ქართველ სტუმრებზე – 460 დოლარი. შეთავაზებაში შედის ოთახი 2 ადამიანზე, საახალწლო ვახშამი, ნინო ქათამაძის კონცერტი, დიჯეი სეტი და დილის საუზმე.

ჰოიაღ ბატონი

კახეთში მდებარე სასტუმრო როიალ ბატონს ახალი წლისთვის სპეციალური პროგრამა აქვს შემუშავებული. ორდღიანი პროგრამის ღირებულება ორ ადამიანზე 1.350 ლარი ღირს. სამდღიანი

პროგრამის ფასი კი 2 ადამიანზე 1.650 ლარია. პროგრამაში შედის კვების სრული პაკეტი, მათ შორის გალა ვახშამი, საახალწლო გასართობი პროგრამა ცოცხალი მუსიკითა და საცეკვაო პროგრამით.

მარკო პოლო

გუდაურში მდებარე სასტუმრო მარკო პოლოში ახალი წლის შეხვედრა 2 პერსონაზე 250 დოლარი დაგიჯდებათ. შეთავაზებაში შედის გალაკონცერტი, ორკაციანი ნომერი და ერთჯერადი კვება.

ყვარლის ედემი

ყვარლის ედემი თავის სტუმრებს ახალი წლისთვის ორდღიან პროგრამას სთავაზობს, რომლის ფასი 2 ადამიანზე 1.100 ლარია. საახალწლო ვახშამი 31 დეკემბერს 11 საათზე დაიწყება და სტუმრების წინაშე წარდგებიან აჩიკო ნიჟარაძე, ჯგუფი საუნდრიფტი ცოცხალი შესრულებით, საღამოს კი დიჯეი მიშა განაგრძობს. გარდა ამისა, გათამაშდება მთავარი პრიზი – საგზური 2 ადამიანზე მილანში.

მგზავრები

ბაკურიანში მდებარე მგზავრები ახალ წელს საახალწლო კონცერტით ხვდება. მასზე მოხვედრა ერთ ადამიანს 140 ლარი დაუჯდება, 3-კაციანი სასტუმროს ნომერი კი 115 დოლარი ღირს.

ლიკა ამირაშვილი, ბიბიენი

თსუ-ს ბიუჯეტი 79 მილიონი ლარი იქნება

– თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტი 79 მილიონი ლარი იქნება.

ამის შესახებ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ 24 დეკემბერს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, სადაც 2017 წლის გეგმებსა და ბიუჯეტზე ისაუბრა.

– ბიუჯეტი არის 79 მილიონი ლარი. 30%-ით შევამცირეთ წარმომადგენლობითი ხარჯები, მივლინების ხარჯები – 26%-ით და ა. შ. ბევრი მტკივნეული რამ გავაკეთეთ და კიდევ ბევრი შემცირების გაკეთება მოგვიწევს, იმიტომ რომ ბიუჯეტი თავისი ხასიათით დეფიციტურია. გარდამავალი ნაშთი, რომელიც ყოველთვის გვქონდა, წელს ნაკლებად გვაქვს. ბიუჯეტი ძალიან პრობლემატური და კრიზისულია. კრიზისულ ბიუჯეტს სჭირდება კრიზისული მართვა, რაც გულისხმობს ზოგადად არაპოპულარულ ნაბიჯებს, მაგრამ აუცილებელს, – განაცხადა გიორგი შარვაშიძემ.

მისი თქმით, სტუდენტების მხრიდან გადაუხდელი თანხები უნივერსიტეტის ბიუჯეტში 3 მილიონს შეადგენს.

– ეს არის ძალიან დიდი თანხა. უნივერსიტეტში ამ თანხით შეიძლება, ერთი სასწავლო კორპუსის მთლიანად რეაბილიტაცია მოხერხდეს. ბიუჯეტის სტრუქტურა არის მძიმე, დაახლოებით 80% არის სახელფასო ფონდები, ანუ ხელფასის ანაზღაურება და კომუნალური ხარჯები, 20% რჩება ყველაფერი დანარჩენისთვის ინფრასტრუქტურის ჩათვლით, განვითარების ჩათვლით, უმრავი რამის ჩათვლით, რაც საუნივერსიტეტო ცხოვრებისთვის აუცილებელია.

ეს არ არის მაინცდამაინც ნორმალური სიტუაცია, თუმცა გვესმის, რომ გამოსასწორებელია და ვიცით, როგორ უნდა გამოვასწოროთ, – განაცხადა გიორგი შარვაშიძემ.

ბიბიენი

გალის რაიონი – განათლება გამყოფ ხაზთან

რუსეთი არა მხოლოდ მავთულხლართების გაბმით ცდილობს კონტაქტისა და ურთიერთდაკავშირების ნებისმიერი მცდელობის აღკვეთას ქართველებსა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ადამიანებს შორის, არამედ მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლების შეზღუდვის გზითაც.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა ამ თვალსაზრისით გალის რაიონშია, სადაც 31 სკოლიდან, რომელთაგან რამდენიმე წლის წინ 10 ქართული იყო, ახლა არც ერთი აღარ დარჩა და ქართული, ზოგიერთ მათგანში მხოლოდ ცალკე საგნად თუ ისწავლება.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის სამინისტროში აცხადებენ, რომ ეს დიდი პრობლემაა, რომლის დაძლევასაც სახელმწიფო ამ ეტაპზე ვერ ახერხებს.

გაძლიერებულ რუსიფიკაციის პოლიტიკას ოკუპირებულ ტერიტორიაზე წინააღმდეგობას ვერავინ და ვერაფერი უწევს. ერთადერთი პასუხი საქართველოს მხრიდან ის გახლავთ, რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მაცხოვრებელ ახალგაზრდებს საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის საფასურს სახელმწიფო უფარავს.

ანალოგიური მდგომარეობაა კონფლიქტის ზონაში მაცხოვრებელი მოქალაქეების მიმართაც. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ადგილებზე კვალიფიციური განათლების ხელმისაწვდომობის არარსებობა უარყოფითად აისახება ოკუპირებულ ტერიტორიებზე მაცხოვრებელი ახალგაზრდების კონკურენტუნარიანობის ხარისხზე, შესაბამისად, მათთვის დაფინანსებული განათლების შემთხვევაშიც კი რთულია მინიმალური ბარიერების გადალახვა ეროვნულ გამოცდებზე.

ამგვარი მდგომარეობა არაერთ ახალგაზრდას, რომლებიც სკოლას ოკუპირებულ ტერიტორიაზე ამთავრებენ, უბიძგებს, განათლება რუსულ ენაზე მიიღონ რუსეთის რომელიმე ქალაქში.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის მინისტრი ქეთევან ციხელაშვილი „ამერიკის ხმასთან“ ამბობს:

– განსაკუთრებით საყურადღებოა ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანების მდგომარეობა. გალის რაიონის მოსახლეობა განსაკუთრებულად მძიმე ვითარებაშია. მათი ძირითადი უფლებების შელახვა, სამწუხაროდ, ყოველდღიურ პრაქტიკას წარმოადგენს. იზღუდება ასევე მშობლიურ ენაზე განათლების უფლება და ამ თვალსაზრისით წლიდან წლამდე ვითარება, 90-იანი წლებიდან მოყოლებული, უარესდება. ასევე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და გადაადგილების თავისუფლების მხრივ უმძიმესი ვითარებაა.

„ამერიკის ხმასთან“ ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტის თანამშრომელმა ელიკო ბენდელიანმაც ისაუბრა, რომელიც ამბობს, რომ მხოლოდ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის დაფინანსებით დაინტერესება გალის რაიონის მცხოვრებლებისთვის საკმარისი არაა, რადგან ადგილებზე არსებული რთული ვითარების გამო, ამ ტერიტორიებზე სკოლადამთავრებული მოსწავლეები კონკურენტუნარიანები, ობიექტური მიზეზების გამო, არ არიან.

– ოკუპირებულ ტერიტორიებზე, გალსა და ახალგორში განსაკუთრებით, შესაძლებლობა არ აქვთ მოსწავლეებს, ისწავლონ მშობლიურ ენაზე. ქართული ენის შესწავლის მხრივ ვითარება უფრო და უფრო რთული ხდება და მაღე, პრაქტიკულად, ქართული სკოლები გალის რაიონში აღარ იქნება.

ეს კი ქართულენოვანი მოსახლეობისთვის პრობლემური საკითხია, რადგან მათ რუსული პროგრამის ათვისება და შესაბამისად, უმაღლეს სასწავლებლებში ჩაბარება და სწავლა სჭირდებათ. იმ მოსწავლეებს, ვინც ოკუპირებულ ტერიტორიაზე ამთავრებს სკოლას და ჩააბარებს უნივერსიტეტებში ან საქართველოში აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში, სწავლის საფასურს უფინანსებს სახელმწიფო, თუმცა იმისთვის, რომ ეს მოსწავლეები მოხვდნენ უნივერსიტეტებში, აუცილებელია შევთავაზოთ მათ დამატებით პროგრამები, რათა შეძლონ ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება და ქართულ უნივერსიტეტებში მოხვედრა. ჩემი აზრით, ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანებისთვის მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შესაძლებლობა, რაც საყოველთაოდ აღიარებული უფლებაა, საქართველოს სახელმწიფოსთვის დღემდე მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება.

ნიუსპრესი

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ძ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

უოლ სტრიტ ჯორნელი: „ტრამპის კონტრაქტორი საქართველოში თურმე „მხედრიონთან“ ყოფილა დაკავშირებული“

გავლენიან ამერიკულ გამოცემა „უოლ სტრიტ ჯორნელის“ მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში გადმოცემულია მიზეზები, რომლებმაც დონალდ ტრამპის ორგანიზაცია აიძულა, სხვადასხვა ქვეყნის ბიზნესპარტნიორებთან ადრე დადებული კონტრაქტები გაეუქმებინა, მათ შორის საქართველოშიც.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ პუბლიკაციის მოკლე შინაარსს.

◆ ◆ ◆

დონალდ ტრამპის ორგანიზაციამ დაიწყო საქმიანი იმპერიის მიერ დადებული იმ რიგი კონტრაქტების გაუქმების პროცესი, რომლებიც პრობლემატური და საკამათოა და რომლებიც აშშ-ის არჩეული პრეზიდენტისთვის კონფლიქტების ერთგვარ „დანაღმულ ველს“ წარმოადგენს.

ბოლო კვირაში კომპანიამ უარი განაცხადა საქართველოში იმ წარმომადგენელთან თანამშრომლობაზე, რომელიც თურმე ადრე უკანონო სამხედრო ფორმირებასთან ყოფილა დაკავშირებული და ამჟამად მის მიერ სავარაუდოდ ჩადენილი ფინანსური დანაშაულის გამოძიება მიმდინარეობს.

დონალდ ტრამპის კომპანიას არ სურს, ამ გახმაურებულ პროცესთან რაიმე შეხება ჰქონდეს.

ოთხი წლის წინ დონალდ ტრამპის ორგანიზაციამ საზეიმო ვითარებაში დაიწყო თანამშრომლობა პოსტსაბჭოთა საქართველოში არსებული კომპანიის წარმომადგენელთან, დეველოპერ გიორგი რამიშვილთან, მაგრამ ახლა მასთან ურთიერთობა აღარ სურს. როგორც დონალდ ტრამპის ადვოკატი ამბობს, კონტრაქტის მიხედვით, გიორგი რამიშვილს ბათუმში შავიზღვისპირა კურორტზე მდიდრული საფირმო საცხოვრებელი კომპლექსი უნდა აეშენებინა, მაგრამ ტრამპის ორგანიზაციამ მას ვალდებულების შეუსრულებლობის თაობაზე შეტყობინება გაუგზავნა.

დეველოპერ გიორგი რამიშვილს, აშშ-ის არჩეული პრეზიდენტის პარტნიორს, თურმე სპეციფიკური და პოტენციურად პრობლემური წარსული ჰქონია: სავარაუდოდ, იგი დაკავშირებული ყოფილა ორგანიზაცია „მხედრიონთან“, რომელიც, ქართული მასმედიის ცნობით, საქართველოს დამოუკიდებლობის პირველ წლებში ბევრ დანაშაულს ჩადიოდა და ამიტომაც კანონგარეშედ იქნა გამოცხადებული. გარდა ამისა, გიორგი რამიშვილისა და მისი კომპანიის წინააღმდეგ 2013 წელს ქალაქ თბილისის პროკურორ მაია მწარიაშვილის მიერ სისხლის სამართლის საქმე იქნა აღძრული ფულის გათეთრების ბრალდებით.

საქართველოს პროკურატურას ჯერჯერობით პასუხი არ გაუცია კითხვაზე, დღესაც აქტიურად მიმდინარეობს თუ არა 2013 წელს დაწყებული გამოძიება თუ საქმე უკვე დახურულია. გიორგი რამიშვილი და მისი კომპანია კომენტარებს არ აკეთებს, ნიკოლოზ რურუამ კი, საქართველოს კულტურის ექსმინისტრმა, რომელიც გიორგი რამიშვილის ახალგაზრდობის დროინდელ მეგობრად ითვლება, განაცხადა, რომ ყველაფერი ის, რაც „მხედრიონში“ მისი მონაწილეობის შესახებ იწერება, სიცრუეა და იმ ადამიანების მიერაა შეთხზული, რომლებსაც ბიზნესმენის წარმატება შურთ.

როგორც დონალდ ტრამპის ორგანიზაციის ადვოკატმა ალან გარტენმა ინტერვიუში განაცხადა, მან პირადად არაფერი იცოდა იმის შესახებ, რომ გიორგი რამიშვილი „მხედრიონთან“ იყო დაკავშირებული.

– სანამ კონტრაქტს დავდებდით, ყველაფერი საკმაოდ გულმოდგინედ შევამოწმეთ, – აღნიშნა ადვოკატმა.

ტრამპის ორგანიზაციამ ასევე გააუქმა სალიცენზიო კონტრაქტები სხვა ქვეყნებშიც – აზერბაიჯანში, ბრაზილიაში, ბულგარეთში არსებულ კომპანიებთანაც.

ნიუსპრესი

თეო ტლაშაძის სახლის ქურდობაში ბრალდებულები დააკავეს

ყოფილი დეპუტატი თეო ტლაშაძე სამართალდამცავებს მადლობას უხდის.

ტლაშაძე სოციალურ ქსელში პოსტს აქვეყნებს, სადაც მისი სახლის ქურდობაში ბრალდებულების დაკავების შესახებ წერს.

– უზომოდ გახარებული ვარ და, ამავე დროს – გულდაწყვეტილიც, რადგან ადამიანს, რომელმაც ჩვენი სახლი გაქურდა, ახალი წლისა და წლების გატარება ციხეში მოუწევს. ამ განსაცდელმა მე და დათო კიდევ უფრო გაგვაძლიერა, დაგვანახა გულშემატკივრები და სეირის მაყურებლებიც. თუმცა, მთავარი ისაა, რომ ძალიან გულით მომინდა მადლობის გადახდა ბევრი ადამიანისთვის!

მადლობა მინდა გადავუხადო შს მინისტრს, ბ-ნ მღებრიშვილს, რომელსაც უშუალო კონტროლზე ჰქონდა საქმე აყვანილი, ბ-ნ გია ვოლსკის, ჩვენი რაიონის მაჟორიტარ დეპუტატს ბ-ნ მამუკა მდინარაძეს და განსაკუთრებული მადლობა კი „ვაკე 4“-ის სამმართველოსა და მის ხელმძღვანელს ბ-ნ ჭაღიაშვილს ასე კვალიფიციურად და მოკლე დროში საქმის შედეგიანად გახსნისთვის!!!

მადლობა გამომძიებელ მიხეილ მჭედლიშვილს, რომელსაც 9 დეკემბრის შემდეგ ხეირიანადაც არც უძინია. მადლობა თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსს ბ-ნ ალადაშვილს. მადლობა თითოეულ თქვენგანს, ვინც სულ გვირეკავდით და გვამხნევებდით! – წერს ფეისბუქის საკუთარ გვერდზე თეო ტლაშაძე.

თეო ტლაშაძისა და მისი მეუღლის ზურაბ რჩეულიშვილის სახლი დიღომში 10 დეკემბერს გვიან ღამით გაქურდეს.

შსს-მ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკი ამოიღო





შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით 1979 წელს დაბადებული ი.ღ. თბილისში დააკავეს.

შს სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას ბუპრენორფინის შემცველი ნარკოტიკული საშუალების 126 აბი ამოიღეს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

მამა გიორგი ცნობილაძეს ესროლეს

24 დეკემბერს ვაკეში მამა გიორგი ცნობილაძეს ესროლეს. სასულიერო პირს წყნეთის ქუჩაზე, მისი საცხოვრებელი სახლის ავტოფარეხთან ესროლეს.

მამა გიორგის გადაუდებელი ოპერაცია ჩაუტარდა. მას ფეხებში 4 გამავალი ჭრილობა აღენიშნებოდა.

მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია. როგორც ინტერპრესნიუსს რესპუბლიკურ საავადმყოფოში განუცხადეს, მამა გიორგი ცნობილაძე ამჟამად მკურნალობას განაგრძობს.

– პაციენტს ოპერაცია ჩაუტარდა. ამჟამად განაგრძობს მკურნალობას მულტიპროფილურ განყოფილებაში. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია, – აცხადებენ რესპუბლიკური საავადმყოფოს პრესსამსახურში.

მომხდარზე უკვე აღძრულია საქმე და გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე და 118-ე მუხლებით დაიწყო, რაც იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებასა და ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

საკონსტიტუციო სასამართლომ მცირე ოდენობით მარიხუანის შეძენა-მოხმარებისთვის პატიმრობა არაკონსტიტუციურად ცნო

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად და ძალადაკარგულად ცნო საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გასაჩივრებული ნორმების ნორმატიული შინაარსი.

კერძოდ, საქართველოს სახალხო დამცველი ითხოვს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლითა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლით გათვალისწინებული სპატიმრო სანქციების არაკონსტიტუციურად ცნობას საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან მიმართებით.

მოქმედი კანონმდებლობით მცირე ოდენობით ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისთვის, ასევე მოხმარების მიზნით შეძენის, შენახვისა და დამზადებისთვის სანქციად გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა, რაც, სახალხო დამცველის აზრით, არ შეესაბამება ჩადენილი ქმედების სიმძიმეს, ზედმეტად მკაცრია და წარმოადგენს ღირსების შემლახველ სასჯელს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მცირე ოდენობით მარიხუანის მოხმარების, ასევე მოხმარების მიზნით შეძენის, შენახვისა და დამზადების ნაწილში ნორმები იმეორებდა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ უკვე არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის შინაარსს. სასამართლომ ნორმის ეს ნაწილი არაკონსტიტუციურად სცნო გამარტივებული წესით, განმწესრიგებელი სხდომის განჩინებით.

საკონსტიტუციო სასამართლომ წარმოებაში მიიღო სარჩელი სადავო ნორმების იმ შინაარსთან დაკავშირებით, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სხვა ტიპის ნარკოტიკული საშუალებების მცირე ოდენობით მოხმარებისთვის, ასევე მოხმარების მიზნით შეძენის, შენახვისა და დამზადებისთვის.

დედების კლუბი
ავერსი AVERSI

“ავერსის” განსაკუთრებული საჩუქარი დედებს

“ავერსი” მომხმარებელს ხშირად ანებივრებს სიურპრიზებით, აქციებითა და ფასდაკლებებით. ამჯერად კომპანიამ განსაკუთრებული საჩუქარი დედებს მოუმზადა: გახდით “დედების კლუბის” წევრი, მიიღეთ სპეციალური ბარათი და ისარგებლეთ მხოლოდ თქვენთვის განკუთვნილი ფასდაკლებით “ავერსის” სააფთიაქო ქსელსა და კლინიკებში, სადაზღვევო კომპანია “ალფასა” და “ავერსის” პარტნიორ ორგანიზაციებში, მაღაზიებსა და სილამაზის სალონებში, ბავშვთა გასართობ ცენტრებსა და პარფიუმერიის, ტექნიკის მაღაზიებში...

კომპანიების სრულ ჩამონათვალს “დედების კლუბის” ფასდაკლებათა გაცნობა მომხმარებელს ნებისმიერ დროს შეუძლია “დედების კლუბის” საიტზე: www.dedebisklubi.ge

ახალი პროექტის პრეზენტაცია 15 დეკემბერს სასტუმრო “ბილტმორში” გაიმართა. მოწვეულთა შორის იყვნენ მრავალშვილიანი დედები, ქართული შოუბიზნესის ვარსკვლავები, ჟურნალისტები და “ავერსის” შვილობილი და მეგობარი კომპანიების წარმომადგენლები, რომლებსაც პროექტი დეტალურად გააცნეს:

- ჩვენი მიზანია, საქართველოში ყველა დედას დავეხმაროთ შვილების აღზრდაში, რათა მოტივაცია ჰქონდეთ, კიდევ იყოლიონ შვილები და ღირსეული თაობები აღუზარდონ ქვეყანას, - ბრძანა “ავერსის” დამფუძნებელმა, ბატონმა პაატა კურტანიძემ.

კომპანია “ავერსის” საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა ლალი ბრეგვაძემ აღნიშნა, რომ “ავერსი” მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე კომპანიაა და მის ახალ ინიციატივასაც სოციალური მიზანი აქვს:

- გვინდოდა, წამოგვეწყო პროექტი, რომელიც დედებისთვის სასიამოვნო და სასარგებლო იქნებოდა. ყველა ქალი, რომელიც “ავერსის” აფთიაქში ბავშვის დაბადებისა და საკუთარ პირადობის მოწმობას წარადგენს, “დედების კლუბის” ბარათის მფლობელი გახდება და არაერთი შეღავათით სარგებლობის შესაძლებლობა მიეცემა. “ავერსთან” ერთად პროექტში ჩვენი პარტნიორები და მეგობრები - კომპანიები, ორგანიზაციები და მაღაზიათა ქსელებიც არიან ჩართულნი.

“დედების კლუბის” იდეა თათა დგებუაძეს, “ავერსის” მარკეტინგის მენეჯერს ეკუთვნის:

- გვინდა, დედებს ყურადღება და მზრუნველობა ვაგრძნობინოთ, დავანახოთ, როგორ ვაფასებთ მათ ღვაწლს და რაოდენ მნიშვნელოვანია ჩვენთვის ჯანსაღი თაობების აღზრდა.

“ავერსის” ახალი ინიციატივის შესახებ აზრი სტუმრებმაც გაგვიზიარეს:

ნანუკა ჟორჟოლიანი, ჟურნალისტი:

- “ავერსი” ჩემი მეგობარი კომპანიაა, რადგან ქველმოქმედებაზე უარს არასოდეს ამბობს. ამ პროექტითაც გამოჩნდა, რომ “ავერსის” მარკეტინგის სამსახური შესანიშნავად ხვდება, რა არის კარგი ჩვენთვის და ჩვენი შვილებისთვის.

მანიკა ასათიანი, მოდელი:

- მოვიხიბლე დღევანდელი ღონისძიებით. პროექტი, რომელიც “ავერსმა” წარმოგვიდგინა, ყველა დედას შესანიშნავ პირობებს სთავაზობს. დავინტერესდი და გადავწყვიტე, საიტზე დაწვრილებითი ინფორმაცია მოვიძიო. დარწმუნებული ვარ, ბარათის აქტიური მომხმარებელი ვიქნები.

ნანუკა ხაზარაძე, ტელეწამყვანი:

- ყველაზე ძვირფასი, რაც დედას გააჩნია, შვილია. სასიამოვნოა, როდესაც გრძნობ, რომ შენსა და შენს შვილზე ასე ზრუნავენ. ვფიქრობ, ახალი პროექტი დაავადებების პრევენციისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესების შესანიშნავ შესაძლებლობას იძლევა.

ეკა ქაჯაია, 6 შვილის დედა:

- მრავალშვილიანთა დახმარების პროექტი, რომელსაც “ავერსი” უკვე წლებია ახორციელებს, ერთ-ერთი საუკეთესო პროექტია და ეროვნულ ინტერესებს ემსახურება. დიდი მადლობა ამ სიკეთისთვის, იმ კეთილგანწყობისთვის, რომელსაც თითოეული დედა ამ კომპანიისგან გრძნობს.

სოფიო კვაშილავა, 11 შვილის დედაა:

- “ავერსის” ყურადღებას და მხარდაჭერას მრავალშვილიანები განსაკუთრებით ვაფასებეთ, რადგან ეს ის არის, რაც ყველაზე მეტად გვჭირდება. “ავერსი” კი ერთადერთი კომპანიაა, ვინც ამით გვანებივრებს.

პრეზენტაციაზე გაიმართა შესანიშნავი პრიზების გათამაშება და კონკურსი, რომელშიც პატარა სტუმრებმა მიიღეს მონაწილეობა. მათ თავიანთი დედიკოები უნდა დაეხატათ. კონკურსში ხუთი წლის ანიტა ჯინიუზაშვილმა და ვიქტორია რიჩკომ გაიმარჯვეს. “ავერსმა” მათ სპეციალური პრიზები გადასცა.

გახდით “დედების კლუბის” წევრი. ყველა დედა იმსახურებს განსაკუთრებულ მოპყრობას.
www.dedebisklubi.ge
☎ 2-900-800

2016, 26 დეკემბერი, №306

რუსეთის თავდაცვის სამინისტროს თვითმფრინავმა კატასტროფა განიცადა

ტუ-154 სირიაში კონცერტის ჩასატარებლად მიფრინავდა

გუშინ, 25 დეკემბერს, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს სამგზავრო თვითმფრინავმა ტუ-154-მა კატასტროფა განიცადა. ის ადლერის მახლობლად შავ ზღვაში ჩავარდა.

თვითმფრინავი მოსკოვის ჩკალოვსკის აეროდრომიდან 25 დეკემბერს დილით, მოსკოვის დროით 1.38 საათზე გაფრინდა. ადლერში ის საწვავის ასაღებად დაეშვა და სირიისკენ გაფრინდა. მოსკოვის დროით 5.40-ზე მასთან კავშირი შეწყდა.

გუშინ საღამოსთვის შავ ზღვაში სამაშველო სამსახურებს ერთი გარდაცვლილის ცხედარი ჰქონდათ ნაპოვნი.

ბორტზე სულ 92 ადამიანი იმყოფებოდა, მათ შორის ალექსანდროვის სახელობის ცეკვისა და სიმღერის ანსამბლის 68 წევრი. ისინი სირიაში მდებარე რუსეთის ხმეიმიმის ბაზაზე სამხედრო ძალებისთვის ახალი წლის მისალოცად მიფრინავდნენ. მათთან ერთად ბორტზე ჟურნალისტებიც იმყოფებოდნენ, მათ შორის, პირველი არხის, „ენტვესია“ და ტელეკომპანია „ზვეზდას“ გადამღები ჯგუფი.

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, კატასტროფა ან ტექნიკურმა ხარვეზმა გამოიწვია, ან პილოტის შეცდომამ.

უწყებაში ტერაქტს გამორიცხავენ და განმარტავენ, რომ თვითმფრინავი რუსეთის საჰაერო სივრცეში იმყოფებოდა, ამიტომ ტერაქტის შესაძლებლობა არ იყო.

თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, შესაძლოა, სიმაღლის აღებისას თვითმფრინავს ხელი ტექნიკურმა გაუმართაობამ შეუშალა.

„ნოვაია გაზეტა“ წერს, რომ კონცერტი ალეპოშიც უნდა გამართულიყო. 22 დეკემბერს ალეპოში გადაისროლეს სამხედრო პოლიციის ბატალიონი, რომელიც ძირითადად ჩეჩნებისგან შედგება. მისი ამოცანა კონცერტის უსაფრთხოების უზრუნველყოფა იყო.

შემთხვევაზე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული.

ტუნისში ბერლინელი ტერორისტის ძმისშვილები დააკავეს



ტუნისის უშიშროების სამსახურმა ბერლინელი ტერორისტის ანის ამრის ძმისშვილები დააკავა. სავარაუდოდ, ისინიც იმ ტერორისტული ორგანიზაციის წევრები არიან, რომელმაც ბერლინის ტერაქტი დაგეგმა.

არსებობს საფუძვლიანი ეჭვი იმისა, რომ ამრის ძმისშვილებმა ტერაქტის შესახებ იცოდნენ და ბიძას მის განხორციელებაში ეხმარებოდნენ.

სირია: თურქეთის არმია ტერორისტების წინააღმდეგ ოპერაციებს განაგრძობს

თურქეთის არმია და პროთურქული ორიენტაციის პარტიზანები განაგრძობენ შეტევებს ისლამური სახელმწიფოს მებრძოლებზე.

თურქები ქალაქ ელ-ბაბს მიადგნენ. მიმდინარეობს ოპერაცია ელ-ბაბიდან ისლამისტების განდევნის მიზნით.

– შეტაკებებისას ლიკვიდირებულია 70 ისლამისტი, – იტყობინება ბიბისი.

მარინ ლე პენი: „საფრანგეთი ნატოდან და ევროკავშირიდან უნდა გავიდეს“

საფრანგეთის ნაციონალური ფრონტის ლიდერმა მარინ ლე პენმა განაცხადა, რომ პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში ყველაფერს გააკეთებს საიმისოდ, რათა საფრანგეთი ნატოდან და ევროკავშირიდან გავიდეს.

– ნატო და ევროკავშირი ამერიკელების მიერ შექმნილო სტრუქტურებია. არც საფრანგეთს, არც ევროპას ისინი არაფერს აძლევენ, – განაცხადა ლე პენმა.

ფრანგი ულტრამემარჯვენეების ლიდერი არც ანტიქართულ გამოთქმებს მოერიდა. მან აღნიშნა, რომ რადგან ევროპა თანახმაა, უკრაინასა და საქართველოს უვიზო რეჟიმი მიანიჭოს, ეს იმას ნიშნავს, რომ ეს ორივე ქვეყანა ადრე თუ გვიან ევროკავშირის წევრი გახდება.

– გეკითხებით, რაში გვჭირდება ეს მათხოვრები? მათი ევროკავშირში მიღება იმას ნიშნავს, რომ ჩვენს ხარჯზე უნდა იცხოვრონ, – თქვა ლე პენმა.

მან აღნიშნა, რომ საფრანგეთთან ერთად ევროკავშირიდან ესპანეთი, ირლანდია და საბერძნეთიც უნდა გავიდნენ.

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

კრასნოდარში ძერჟინსკის ბიუსტზე ჯვარი მიამაგრეს

კრასნოდარის პოლიციამ დააპატიმრა აქტივისტი ჩირიკოვი და მისი მეგობარი.

მათ სუკის დამაარსებელ ფელიქს ძერჟინსკის ბიუსტზე ჯვარი მიამაგრეს.

ჩირიკოვი და მისი მეგობარი ხულიგნობაში დაადანაშაულეს. მათ 15-დღიანი პატიმრობა ემუქრებათ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კალეიდოსკოპი

ჩრდილოეთ საჰარაში თოვლი მოვიდა

ბოლო 37 წლის განმავლობაში პირველად მოთოვა საჰარის უდაბნოს ჩრდილოეთ ნაწილში.

იშვიათი ბუნებრივი მოვლენის აღბეჭდვა მოყვარულმა ფოტოგრაფმა კარიმ ბუჩეტატამ ალჟირის ქალაქ აინ-სეფრას რაიონში მოახერხა.

– ყველა გაოგნებული დავრჩით, როდესაც დავინახეთ, რომ უდაბნოში თოვდა. ეს ხომ ძალიან იშვიათად ხდება, – განაცხადა მოყვარულმა ფოტოგრაფმა. მან ასევე აღნიშნა, რომ თოვლი მეორე დღისთვის უკვე დამდნარი იყო.

აინ-სეფრაში თოვლი 1979 წლის 18 თებერვლის შემდეგ აღარ უნახავთ. მაშინ 30-წუთიანმა ქარბუქმა გზები თოვლით დაფარა და ქუჩებში ავტომობილების მოძრაობა შეწყვიტა.

შეგახსენებთ, რომ საჰარა მსოფლიოს უდიდესი უდაბნოა, რომელსაც აფრიკის კონტინენტის 30 პროცენტი უკავია. მის უდიდეს ნაწილში ნალექი წლობით არ მოდის.

მომავალი წლისთვის ყველაზე მოდური სელფ-პოზა დასახელდა

2017 წლის სელფის ყველაზე მოდური ტიპი იქნება ავტოპორტრეტი, რომელზეც ხელი ნაწილობრივ ფარავს სახეს. ამ ინფორმაციას გამოცემა მერია ქლეირი ავრცელებს.

გამოცემის რედაქტორებმა აღნიშნეს, რომ ინსტაგრამში პოპულარული ცნობადი სახეები უკვე მიმდინარე წელს აქვეყნებენ სელფს, რომელზეც თითები ან ხელისგულები სახის ნაწილს უფარავენ. ექსპერტების აზრით, ამგვარი სელფი სულ მალე პოპულარულ ტრენდად იქცევა.

მერია ქლეირი მკითხველს შეახსენებს, რომ სელფის მოდა ცვლილებებს მუდმივად განიცდის. მაგალითად, ადრე პოპულარული იყო ავტოპორტრეტები გაკვირვებული გამომეტყველებით, საკოცნელად მოპრუწული ტუჩებით, შემდეგ – „თევზის პირი“.

გამოცემაში დარწმუნებული არიან, რომ ახალი ტენდენცია მეტად პრაქტიკულია, ვინაიდან თითების დახმარებით შესაძლებელია სახის კანის ნაკლოვანი ადგილების დაფარვა.

ქურქში გამოწყობილი ბიბერი ჩუბაკას შეადარეს



კანადელი მომღერალი ჯასტინ ბიბერი, რომელმაც ლოს-ანჯელესში გასეირნების დროს ბეწვის ქურქი ჩაიცვა, კინოსაგა „ვარსკვლავური ომების“ ჩუბაკას შეადარეს.

იმ მომენტისთვის, როდესაც 22 წლის მომღერალი ადგილობრივ ღამის კლუბში წასასვლელად გაემზადა, ქუჩაში ტემპერატურა 16 გრადუს სითბოს აჩვენებდა.

აღსანიშნავია, რომ ლოს-ანჯელესში, მართალია, დეკემბერში აცივდა, თუმცა ასეთი ჩასაცმელისთვის მეტისმეტად თბილი ამინდია. ერთ-ერთმა ადგილობრივმა გამოცემამ საკუთარ გვერდზე განათავსა ჩუბაკასა და ბეწვის ქურქში გამოწყობილი ბიბერის სურათები, რათა მათი შედარება მკითხველებმა შეძლონ.



ავსტრალიელ ქალებს მოუწოდებენ, სხეულიდან თმები არ მოიშორონ

ავსტრალიაში წამოიწყეს კამპანია სახელწოდებით „გახდი თმიანი თებერვალში“, რომლის ფარგლებში ქალებს სთავაზობენ, ერთი თვის განმავლობაში სხეულიდან არ მოიცილონ თმები.

ფლეშმობის მონაწილეებისა და სხვა მსურველების მიერ გაღებული შემოწირულობები მიმართული იქნება იმ ქალების დასახმარებლად, რომლებიც ოჯახური ძალადობისგან დაზარალდნენ. მათ აუნაზღაურდებათ ფსიქოთერაპევტთან გავლილი კურსის ხარჯები.

როგორც წამოწყების ავტორმა ალექს ენდრიუსმა განაცხადა, არსებობს გარკვეული კავშირი ეპილაციის სოციალურ იძულებასა და ქალის მიერ საკუთარი სხეულის ფსიქოლოგიურ დაუცველობას შორის.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

მომსახურება

● სიახლე! სტომატოლოგიური კლინიკა გთავაზობთ მომსახურებას თქვენს ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ორი ყბის ფასი 260 ლარი. იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი,პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა,ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი,ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 საათდე წინასწარი ჩაწერით.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი საღომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

დინამო არ აგებს, სოხუმი ლიდერებს უახლოვდება

რუსთავი-დინამო 70:93
(20:18, 20:24, 17:28, 13:23)

რუსთაველებს ამ ტურამდე 8 გამარჯვება ჰქონდათ და მიუხედავად იმისა, რომ დაუმარცხებელ დინამოს მასპინძლობდნენ, მოგების ამბიცია ჰქონდათ. ქვემოქართლელებმა ისე შედეგიანად დაიწყეს თამაში, მესამე პერიოდამდე მათი წარმატება რეალური ჩანდა, თუმცა შემდეგ დინამოელთა ჯერიც დადგა და სტუმრებმა საზრიანი თამაშის წყალობით შეხვედრის ბედი გადაწყვიტეს.

პირველი პერიოდი მასპინძლებმა 20:18 მოიგეს, მეორე ათწუთეულიც თანაბრად მიდიოდა. ხან რუსთაველები იგებდნენ მცირედით, ხანაც – თბილისელები. პირველი ნახევარი ფრედ სრულდებოდა, თუმცა ბოლო წამზე დეონტა ვონმა ზუსტი გარღვევით ორქულიანი მიითვალა და დიდი შესვენებისთვის სტუმრები 42:40 დაწინაურდნენ.

მესამე მეოთხედის განახლებისთანავე რეზო ჩაჩანიძემ სამქულიანით რუსთაველები ქულით დააწინაურა, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ეს მასპინძელთა მაქსიმუმი იყო. მესამე ათწუთეულში დეონტა ვონმა 12 ქულა მიითვალა, დინამომ კი 28:17 იმარჯვა და ბოლო ათწუთეულის წინ თბილისელები 13 ქულით დაწინაურდნენ.

ბოლო მეოთხედში ბრძოლა არ შედგა. დინამო გონივრულად თამაშობდა – სამქულიანებსაც ზუსტად ესროდა და ფარქვეშაც მეტოქეს ტოლს არ უდებდა. შედეგად, სტუმართა ლიდერობამ 20 ქულას მიაღწია, შეხვედრის ბედი გაირკვა და მატჩის ბოლო 5 წუთში მოედანზე ძირითადად სათადარიგოები იყვნენ.

დინამოში 23 ქულით მიხეილ ჭოჭუა გამოირჩა. 22 ქულა მიითვალა ვონმა, ხოლო მიხეილ ბერიშვილმა თავი 14 ქულას მოუყარა. შეხვედრის ორმაგი დუბლი – 10 ქულა და 10 მოხსნა მიითვალა ლევან ფაცაციამ.

რუსთავში 17 ქულით ბომბარდირი რევაზ ჩაჩანიძე გახდა. 13 ქულა და 12 მოხსნა სერგო ათუაშვილის ანგარიშზეა.

ქუთაისი-მგზავრები 85:60
(17:16, 29:17, 17:12, 22:15)

ქუთაისმა თბილისური მგზავრები მიიღო და უთანასწორო ბრძოლაში 80:65 იოლად დაამარცხა.

მატჩის პირველ მეოთხედში თანაბარი ბრძოლა შედგა. ფაქტობრივად, განახევრებული მგზავრები იოლად დანებებას არ აპირებდა და ბოლომდე მოკრებილი ძალებით ებრძოდა მასპინძელ გუნდს. სწორედ ამის შედეგი იყო, რომ პირველი მეოთხედის ბოლოს ტაბლოზე ერთქულიანი სხვაობა დაფიქსირდა ქუთაისის სასარგებლოდ.

მეორე მეოთხედიდან ქუთაისმა ძალების კონცენტრაცია მოახდინა და გამოცდილი მოთამაშეების წყალობით წინ გაიჭრა. პირველი ტაიმის ბოლოს თითქმის უკვე ცნობილი იყო ფავორიტის ვინაობა: ქუთათურებმა ლეგიონერი დრაგან ტუბაკის, საქართველოს ნაკრების წევრების – გიორგი ცინცაძისა და ბექა ბექაურის შედეგიანი თამაშის წყალობით უკან ჩამოიტოვეს მეტოქე სტუმარი – 46:33.

მომდევნო 2 მეოთხედში ვითარება გამოკვეთილად აღარ შეცვლილა. სუპერლიგის ერთ-ერთმა ფავორიტმა თავისი გაიტანა და მგზავრები 25 ქულის სხვაობით იოლად დაამარცხა.

ქუთათურებს 15 ქულითა და 9 მოხსნით დრაგან ტუბაკმა ულიდერა. 14 ქულა და 9 მოხსნა მოაგროვა საქართველოს ნაკრების წევრმა ბექა ბექაურმა, 13-13 ქულა მოაგროვეს გიორგი ცინცაძემ და ვახტანგ ქადარიამ, ამ უკანასკნელმა საკუთარ ანგარიშზე 7 მოხსნაც ჩაიწერა.

მგზავრების საუკეთესო 12 ქულით ოთარ ფხაკაძე და 10 ქულით ავთანდილ ლომინაშვილი იყვნენ.

ბათუმი-სოხუმი 78:88
(22:27, 15:18, 23:20, 18:23)

პირველი წრის შემდეგ ბათუმს 4 მოგება ჰქონდა და ერთ-ერთ ფავორიტად განიხილებოდა, ხოლო სოხუმელებს საწყისი 8 ტურის შემდეგ მხოლოდ 1 გამარჯვება ჰქონდათ. მეორე წრიდან ამ გუნდების შედეგიანობა შეიცვალა. ბათუმელებმა მეორე წრის 6 ტურიდან უკვე 4 მატჩი წააგეს, სოხუმმა კი ზედიზედ მესამე მატჩი მოიგო და სატურნირო მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა.

მატჩი სოხუმელთა მწყობრი და შედეგიანი თამაშით დაიწყო. კარგ დაცვასა და სწრაფი შეტევებს სოხუმელები შორ სროლებსაც უნაცვლებდნენ. განსაკუთრებით გამოსარჩევი იყო ოთარ ბულიავას შედეგიანობა, რომელმაც პირველ ტაიმში სოხუმელთა მოპოვებული 45 ქულიდან 22 პირად ანგარიშზე ჩაიწერა.

ნუგზარ ჭეიშვილის გაწვრთნილმა სოხუმელებმა პირველი ათწუთეული 27:22 მოიგეს, ხოლო დიდი შესვენებისთვის უპირატესობა 8 ქულამდე აიყვანეს. მესამე პერიოდი სტუმრების სწრაფი თამაშით დაიწყო და 3 წუთში სოხუმმა ლიდერობა 17 ქულამდე გაზარდა – 56:39. ამას დავით უსტიაშვილის გაწვრთნილმა ბათუმელებმა შედეგიანად უპასუხეს და ძირითადად შორი სროლებით ჩამორჩენა მნიშვნელოვნად შეამცირეს და შეხვედრის 29-ე წუთისთვის ანგარიში 60:62 გახდა.

ბოლო პერიოდი სოხუმელთა 5-ქულიანი ლიდერობით დაიწყო, თუმცა მასპინძლებმა სტუმრებს ეფექტური ვერაფერი დაუპირისპირეს და სოხუმის ლიდერობამ ისევ 10 ქულას გადააჭარბა. მატჩი ისე ჩამთავრდა, გონივრულად მოთამაშე სტუმართა ლიდერობას საფრთხე არ დამუქრებია.

გამარჯვებულებს 28 ქულით ოთარ ბულიავამ ულიდერა. 19 ქულა, 11 მოხსნა და 6 პასი მიითვალა დუეინ ლათანმა, 13 ქულა და 7 მოხსნა დაგროვდა დავით ბარბაქაძის ანგარიშზე.

ბათუმში 20 ქულით ბომბარდირი ილია შემოსიუკი გახდა, 17 ქულა დააგროვა ბესო ლეჟავამ, ხოლო კრისტოფერ პელჩერის ანგარიშზე 16 ქულა და 12 მოხსნა დაგროვდა.

კაკტუსი-ოლიმპი 76:79
(17:21, 16:18, 15:18, 28:22)

დაძაბული და საინტერესო ორთაბრძოლა ოლიმპის გამარჯვებით დასრულდა. შეხვედრის ბედი ბოლო წუთებზე გაირკვა, მანამდე კი ძირითადად ოლიმპი ლიდერობდა. მესამე პერიოდის მიწურულს ლეონიდ ივატინის გაწვრთნილმა ოლიმპელებმა 12-ქულიანი უპირატესობა მოიპოვეს – 55:43.

არჩილ ჟღენტის გაწვრთნილი კაკტუსის კალათბურთელებმა მოინდომეს და ეს ჩამორჩენა მალევე გაათბილეს და შემდეგ დაწინაურებაც მოახერხეს. მატჩის დასრულებამდე 6 წუთით ადრე კაკტუსი 63:61 გალიდერდა, თუმცა ამან დიდხანს არ გასტანა. ოლიმპმა ლიდერობა დაიბრუნა, რომელიც მატჩის ბოლომდე, დიდი ბრძოლის შედეგად, შეინარჩუნა და 79:76 იმარჯვა.

ოლიმპში 18 ქულითა და 8 პასით საუკეთესო იყო რევაზ როგავა. 15 ქულა მოაგროვა თრე ბურნეთმა.

რაც შეეხება კაკტუსელებს, 20 ქულით თავი ტაილერ უაითმა გამოიჩინა, ჯონ ფლოვიესის ანგარიშზე კი 13 ქულა და 15 მოხსნა დაგროვდა.

სატურნირო ცხრილი:

1.დინამო	13	13	0	1154-918	26
2.ქუთაისი	12	10	2	992-900	22
3.რუსთავი	13	8	5	1021-1030	21
4.ბათუმი	13	6	7	1009-987	19
5.კაკტუსი	13	5	8	1043-1137	18
6.სოხუმი	13	5	8	1100-1127	18
7.ოლიმპი	12	3	9	815-868	15
8.მგზავრები	13	1	12	910-1077	14

ლერი ხაბელოვი ისევ ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტია

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ლერი ხაბელოვმა თანამდებობა კიდევ ოთხი წლით შეინარჩუნა. მან 78 ხმა მოაგროვა, ხოლო ირაკლი მეძმარიაშვილმა – 57.

დამარცხებულმა გამარჯვებულს უმალ მიულოცა, ჟურნალისტებს კი კიდევ ერთხელ უთხრა, რომ ჩატარდა გამჭვირვალე არჩევნები, სადაც არავინ არავის არაფერს აძალებდა.

ირაკლი მეძმარიაშვილი:

– ეს იყო უპრეცედენტო დემოკრატიულად და გამჭვირვალედ ჩატარებული არჩევნები. სპორტულმა ოჯახმა აირჩია საკუთარი რჩეული, ეს არის ჩვეულებრივი მომენტი. სამწუხაროდ, მე ვერ გავიმარჯვე, მაგრამ ცხოვრება გრძელდება. სპორტულმა სამყარომ ასე გადაწყვიტა და ჰყავდეთ 4 წელი ის პრეზიდენტი, რომელიც აირჩიეს.

ლერი ხაბელოვმა განაცხადა, რომ მომავალი ოლიმპიური ციკლი ქართული სპორტისთვის კიდევ უფრო წარმატებული იქნება და დევიზი – უკეთ, ვიდრე წინა ოლიმპიადაზე, ისევ აქტუალურია.

ლერი ხაბელოვი:

– მინდა, მადლობა გადავუხადო ყველა დელეგატს. ეს ხმები სპორტისთვისაა მიმართულია. ჩვენ უკეთესად გავაკეთებთ ყველაფერს. ეს არის მანდატი, იმისთვის, რომ უფრო მეტი კარგი საქმე გავაკეთოთ ქართული სპორტისთვის. ჩვენ ძირითადად ჩამოვაყალიბეთ 10 პუნქტი და პირობას ვდებ შევასრულებ ამ პუნქტებს. 4 წლიანი ციკლი იქნება ძალიან კარგი. წინ ტოკიოს ოლიმპიადაა და მჯერა, იქნება უკეთესად ვიდრე რიოში. რაც შეეხება მეძმარიაშვილთან თანამშრომლობას, მე მას არ ვთავაზობ არანაირ თანამდებობას, ვეტყვი მადლობას და დავემშვიდობები.

სეოკის ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა დამსწრეთ აუწყა, რომ მუშაობას იმ გუნდთან ერთად გააგრძელებს, რომელთან ერთადაც გასული ოთხი წლის განმავლობაში მუშაობდა. პირველი ვიცეპრეზიდენტი კვლავ ელგუჯა ბერიშვილი იქნება, ვიცეპრეზიდენტები: ნინო სალუქვაძე და მამუკა ხაბარელი, ხოლო გენერალური მდივანი – ემზარ ზენაიშვილი.

ხაბელოვის თქმით, უახლოეს მომავალში სეოკს კიდევ ერთი ვიცეპრეზიდენტი შეემატება, ოღონდ მისი ვინაობის გამხელისგან მან ამ ეტაპზე თავი შეიკავა.

მოამზადა მაისელ ყორყოლიანმა

ფაჩულიამ შედეგიანობას უმატა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

რაც შეეხება ზაზას, ის ფარქვეშეთის ბატონ-პატრონი იყო და საბოლოოდ 14 მოხსნა მიითვალა, რაც მისი საუკეთესო შედეგია გოლდენ სტეიტში. ფაჩულიას სეზონის საუკეთესო მაჩვენებელი ჰქონდა ქულებშიც. მან 9-დან 6 ორქულიანი და 4-დან 3 საჯარიმო ჩააგდო, ჯამში, 15 ქულა მოაგროვა და ამას ზედ 4 პასიც მოაყოლა. მთლიანობაში ზაზამ 26 წუთი ითამაშა (ესეც სეზონის მაქსიმუმია) და 15 ქულას, 14 მოხსნას და 4 მოხსნას 1 დაფარებაც მიაბა, ბურთი კი ერთხელ დაკარგა.

ოკლენდელებმა მასპინძლები წელში მესამე პერიოდში გატეხეს, რომელიც 39:19 მოიგეს და დასკვნით მეოთხედში საქმე გამარჯვებამდე იოლად მიიყვანეს – 117:101.

ბრუკლინთან მაღალშედეგიანი თამაშის შემდეგ ფაჩულიამ ტემპი მცირედით დააგდო და დეტროიტთან ორმაგ დუბლს ვერ უწია, თუმცა მაინც სტაბილურად ითამაშა და რაც მთავარია, მისმა გუნდმა იმარჯვა. ოკლენდელებმა სამმატჩიანი გასვლითი ტურნეს მეორე შეხვედრა დეტროიტში – პისტონსთან გამართეს და დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხეს.

ფაჩულია სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე გატარებულ 19 წუთში სროლათა 100-პროცენტიანი შედეგი აჩვენა. ზაზამ 2-დან 2 ორქულიანი და 3-დან 3 საჯარიმო ჩააგდო. მოპოვებულ 7 ქულას ქართველმა ცენტრმა ამდენივე მოხსნა და 1 ჩაჭრა მოაყოლა. გოლდენსტეიტელებმა მასპინძლები ბოლო წუთზე გატეხეს, მანამდე კი თანაბარი ბრძოლა მიდიოდა.

გოლდენ სტეიტისთვის ეს იყო სეზონის 27-ე და ზედიზედ მე-7 გამარჯვება. უორიორზი კვლავაც ნბა-ს ლიდერად რჩება.

შედეგები

24 დეკემბერი

ფეხბურთი

იტალია. სერია ბ

პიზა-სპეცია	0:0
აველინო-სალერნიტანა	3:2
ასკოლი-ბარი	1:1
ბრეშა-პრო ვერჩელი	2:1
ენტელა-ნოვარა	4:1
ვიჩენცა-ჩიტადელა	2:0
კარპი-ვერონა	1:1
პერუჯა-ლატინა	1:1
სპალი-ტერნანა	4:0
ფროზინონე-ბენევენტო	3:2
ჩეზენა-ტრაპანი	3:1

შოტლანდია. პრემიერლიგა

ჰამილტონი-სელტიკი	0:3
რეინჯერსი-ინვერნესი	1:0

თურქეთი. სუპერლიგა

ადანა-ბაშაჰშეჰირი	1:1(0:1)
ბეშიქთაში-გაზიანთები	1:0

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

რა არის მენინგიტი

ეკა ირემაშვილი

მენინგიტი თავის ტვინის გარსის ანთებაა. მისი გამომწვევი შეიძლება სხვადასხვა ბაქტერია და ვირუსი იყოს.

მენინგიტს იწვევს სხვადასხვა ბაქტერია, ვირუსი, სოკო. დაავადება შეიძლება იყოს პირველადიც, რომელიც მიმდინარეობს, როგორც დამოუკიდებელი დაავადება და მეორადიც, რომელიც სომატური დაავადების გართულებაა.

მენინგიტის შესახებ ინფექციური პათოლოგიის ცენტრის ნეიროინფექციების განყოფილების გამგე, ასოცირებული პროფესორი გია დეისაძე გვესაუბრება.

გია დეისაძე:

– მენინგიტი არის დაავადება, რომელიც ლათინურად ნიშნავს ტვინის გარსის ანთებას. თავის ტვინს აქვს სამი გარსი და მათ ანთებაზეა ლაპარაკი.

რაც შეეხება ანთებით პროცესს, ტვინის გარსებს აქვს დაცვითი ფუნქცია. ეს სამი გარსი იცავს თავის ტვინს როგორც ინფექციების, ისე ზედმეტი სხვადასხვა ქიმიური ნივთიერებებისგან, მათ შორის ჭარბი დოზის ალკოჰოლისგან. ეს არის ერთგვარი ბარიერი, რომელიც, თუ გახსნილი იქნებოდა ალკოჰოლისთვის, მაშინ გახსნილი იქნებოდა სხვა ნებისმიერი ინფექციისთვისაც და ყველაფერს მოჰყვებოდა შედეგად ის, რომ ჩვენ ვიქნებოდით უგონო მდგომარეობაში.

– მფრინავი მენინგიტი და მენინგიტი ერთი და იგივეა?

– მფრინავი მენინგიტი, როგორც ასეთი, არ არსებობს. არსებობს ინფექცია, რომელიც არის გადამდები. ასეთი გადამდები ინფექციები არის თუნდაც რესპირატორული ინფექციები არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში – გრიპს რომ ეძახიან. ასეთი ინფექცია, გრიპის გარდა, კიდევ 50-60-ია.

– ხშირია მენინგიტის შემთხვევები საქართველოში?

– შემთხვევები არც მომატებულა, არც დაკლებულა. გვაქვს შემთხვევები, მაგრამ საგანგაშო რაოდენობის – არა. ასეთ დროს სხვადასხვა ფაქტორია გასათვალისწინებელი. ვირუსული მენინგიტების განვითარება გარკვეული ვირუსული ინფექციების ფონზე ხდება, გარკვეული ბაქტერიების ფონზე ხდება ბაქტერიული მენინგიტების განვითარება. ასევე შეიძლება იყოს ფიზიკური ტრავმების ფონზე განვითარება, პოსტოპერაციულ პერიოდში, სეფსისის ფონზე, ტუბერკულოზის ფონზე და ა.შ.

– ვინ არიან რისკჯგუფში?

– რისკჯგუფში არის ყველა, მათ შორის თქვენც და მეც. განსაკუთრებული უპირატესობა არ არსებობს. ეს არის დაავადება, რომელიც შეიძლება შეგხვდეს ნებისმიერ ასაკსა და ნებისმიერ საზოგადოებაში.

– წელიწადის დროს თუ აქვს მნიშვნელობა?

– თუ ჩვენ განვიხილავთ თქვენ მიერ ნახსენებ მფრინავ მენინგიტს, ეს არის მენინგოკოკური ინფექცია და მას გარკვეული სეზონურობა ახასიათებს. სხვა დანარჩენ შემთხვევებში სეზონურობა ნაკლებად მნიშვნელოვანია. რესპირატორულმა ვირუსებმა სხვადასხვა მიზეზის გამო შეიძლება მოგვცეს სინუსიტები, ანუ თავის ქალის გარშემო არსებული სინუსების, ჰაიმორისა და შუბლის წიაღის ანთებები, სადაც ჩირქი გროვდება. ამან შეიძლება გადაინაცვლოს თავის ტვინში და მოგვცეს მეორადი ბაქტერიული მენინგიტი. ეს დაკავშირებულია იმ ინფექციის გართულებებთან, რომელიც შეიძლება პაციენტმა გადაიტანოს.

გია დეისაძე

– გართულებამდე რომ არ მივიდეთ, რა სიმპტომებს უნდა მივაქციოთ ყურადღება?

– სიცხე, თავის ტკივილი, გულისრევა, ღებინება – ეს არის სიმპტომები, რომლებსაც ყველამ უნდა მიაქციოს ყურადღება. როცა ადამიანს ეს სიმპტომები აქვს ერთი, ორი, სამი და მეტი დღე და არ მიდის ექიმთან, რომ გაითიშება, მერე ძალიან გვიანია.

– ხშირია ლეტალური შედეგები?

– პაციენტები ხან მოდიან, ხან არ მოდიან. ამას განაპირობებს ადამიანის დამოკიდებულება საკუთარი ჯანმრთელობის მიმართ. ზოგს საერთოდ არაფერი სტკივა, მაგრამ მაინც მოდის ექიმთან, ზოგიც მოდის ისეთი, რომელსაც ყველაფერი სტკივა და კი არ მოდის, მოაქვთ. სამწუხაროდ, არ უყვართ ადამიანებს საკუთარი თავი და ჯანმრთელობა.

– იქნებ ფინანსების არქონის ბრალია?

– ჩვენთან სახელმწიფო დაზღვევის პროგრამა მოქმედებს. ასე რომ, ფინანსები არაფერ შუაშია. სახელმწიფო ეხმარება თავის მოქალაქეებს, მაგრამ ჯობს, სანამ სიკვდილს დააპირებენ, მანამდე მიხედონ თავს. როდესაც ტვინის გარსების ანთებაზეა ლაპარაკი, ერთი კვირა გონზე არ ხარ და აპარატზე ხარ შეერთებული, მაშინ ორგანიზმი რა მდგომარეობაშია? არ ინგრევა? ამიტომ დროულად უნდა მიმართოს ყველამ ექიმს, რომ გართულებები თავიდან აიცილოს. ექიმი პროკურორი არ არის, არ დაგიჭერს, ექიმი შენი დამხმარეა. მიდი ექიმთან და უთხარი, რომ ავად ხარ. საქართველოში რატომღაც ავადმყოფობა სირცხვილია.

– შეიძლება, მენინგიტი მეორედ და მესამედ დაემართოს ადამიანს?

– ზუსტად იმდენი შანსი აქვს ადამიანს, დაემართოს მენინგიტი განმეორებით, რამდენიც პირველად დაავადებამდე ჰქონდა. ძალიან საშიშია, თუ დროზე არ მიხვალ, შეიძლება, ვერ გადარჩე და მოკვდე. საშიში რომ არის, იმიტომ ვამბობთ, რომ დროულად მოვიდნენ ექიმთან.

ბევრს ჰგონია, რომ გაუვლის, გადაიტანს, იქნებ არ გაურთულდეს და როგორმე ექიმთან ვიზიტის გარეშე გამოძვრეს მდგომარეობიდან, არადა, მენინგიტი არ არის ის დაავადება, რომელსაც შეიძლება წაუყრუო.

– რას ურჩევდით ჩვენს მკითხველს?

– იცხოვრეთ ჯანმრთელი ცხოვრების წესით და არ დაგავიწყდეთ, რომ საქართველო ყველაზე კარგი ქვეყანაა.

სჯანვოხდი



1. ცდის გარეშე, იმთავითვე; 2. ბიზეს ოპერა; 3. სატურნის თანამგზავრი; 4. დავა, კამათი; 5. მიწის ფართობის ინგლისური საზომი ერთეული; 6. ახლის აღმნიშვნელი წინსართი; 7. ქალისადმი მიმართვა აშშ-ში; 8. ფრანგული სამეჯლისო ცეკვა; 9. სასწორის თეფში; 10. პატარა სარწყავი არხი; 11. სპარტის მეფე, მშვენიერი ელენეს ქმარი; 12. ... ნინიძე; 13. ჭეშმარიტად!; 14. სისხლის სამართლის დანაშაული; 15. ქრისტიანული მღვდელმსხურების დროს ხმარებული ნელსაცხებელი; 16. ჯენიფერ ... (ჩოგბურთელი); 17. ხანა, ეპოქა; 18. ყაიმი; 19. მათემატიკის ნაწილი; 20. სამკურნალო პრეპარატი; 21. სასვენი ნიშანი; 22. ... პაჩინო; 23. სიგრძის ერთეულის მიკრომეტრის წინანდელი სახელწოდება; 24. ასი კვადრატული მეტრი; 25. რუმინეთის ფულის ერთეული; 26. ლადო ასათიანის მშობლიური სოფელი; 27. „კვირის ...“; 28. ქალაქი ჩილეში; 29. ნაბიჯი ბალეტში; 30. ინგლისელი მწერალი (1903-1966); 31. გი ... მოპასანი; 32. უბანი თბილისში.

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. მენჯი; 2. ტრალი; 3. ბაობაბი; 4. იგლუ; 5. წეკო; 6. კასაცია; 9. ჰემოთერაპია; 10. ავასირხვა; 11. რეგულაცია; 14. წაბლი; 16. გრიფი; 18. ბროკერი; 20. შავლეგო; 23. ვერა; 24. დუბაი; 25. პაპყი; 26. კურუ.

თარაზულად: 7. განდაგანა; 8. ბატერფლაი; 12. ჩაქვი; 13. ბენცი; 15. ფხოვი; 17. ბანდეროლი; 19. პუარო; 21. მოცვი; 22. ნიყვი; 27. გრავირება; 28. სპორტინგი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ექსპრომტი; 2. ერუდიტი; 3. ფიგარო; 4. სიამი; 5. იშხანი; 11. ბიკილა; 12. ბაცილა; 14. ჟირო; 16. ლინდერი; 17. პატრიცი; 19. რეცეპტი; 21. ლუარა; 22. სოტბი.

თარაზულად: 6. ოქსფორდი; 7. ბაიყუში; 8. მუყაო; 9. კრუიზი; 10. რომბი; 13. სტაჟი; 15. პლებისციტი; 18. დავლური; 20. აბიო; 21. ლეკები; 23. ფილანტროპი; 24. ციცარი.

ქალეიდოსკოპი

რვა თვის ფეხმძიმე ქალი ჭოკზე ეროტიკულ ცეკვას ვერ ელევა



ამერიკის კალიფორნიის შტატის მცხოვრები აგრძელებს ჭოკზე ცეკვას, იმის მიუხედავად, რომ უკვე რვა თვის ფეხმძიმეა. მისი ცეკვის ვიდეოჩანაწერი ერთ-ერთმა გამოცემამ სოციალურ ქსელში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა. ის, მართალია, ჯერ კიდევ ნოემბერშია გადაღებული, თუმცა საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი მხოლოდ ახლახან გახდა.

ზუზსი ჰუსლამ ფეხმძიმობის 38-ე კვირას სრულიად ჯანმრთელი გოგონა გააჩინა. მისი თქმით, ხალხის უმრავლესობას მის ქმედებაზე დადებითი რეაქცია ჰქონდა, თუმცა ზოგიერთებმა ჩათვალეს, რომ მის ვარჯიშებს შეეძლო, ბავშვისთვის ზიანი მიეყენებინა.

ბრიტანელ კატას საკუთარი საპატიო ყარაული ჰყავს

ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მთავარი კატა პალმერსტონი ლონდონში კინგ ჩარლზ-სტრიტზე მდებარე რეზიდენციაში საპატიო ყარაულის წინ მოსეირნე დააფიქსირეს.

სურათი ტვიტერში საკუთარ გვერდზე მინისტრის მთავარმა თანაშემწე საიმონ მაკდონალდმა გამოაქვეყნა.

– ბოლო წელი ქუჩებში – თავშესაფრის წყალობით ის ახლა უკვე ისეთი პატივისცემით სარგებლობს, როგორსაც იმსახურებს, – აღნიშნულია სურათისთვის თანდართულ წარწერაში. მან ასევე ინტერნეტმომხმარებლებს ბედნიერი შობა უსურვა.

შეგახსენებთ, რომ საპატიო ყარაული წარმოადგენს ცერემონიულ პრაქტიკას, რომელიც მოწოდებულია, პატივი მიაგოს მაღალჩინოსანს.

შეგახსენებთ, რომ კატა პალმერსტონი ცხოველთა თავშესაფრიდან 2016 წლის აპრილში აიყვანეს. „დიპლომატ“ კატას ასევე საკუთარი გვერდი აქვს ტვიტერში, რომელსაც 38 ათასზე მეტი ხელმომწერი ჰყავს.

იტალიელ თავადს საკუთარ ციხე-სიმაგრეში კანაფი მოჰყავდა

იტალიელი არისტოკრატების უძველესი გვარის მემკვიდრე, 33 წლის ანდრეა ოდესკალკი, საგვარეულო ციხე-სიმაგრეში კანაფის მოყვანის გამო დააპატიმრეს.

აკრძალული მცენარის სათბური ციხე-სიმაგრის ერთ-ერთ ოთახში იყო მოწყობილი. მასში აღმოაჩინეს 35 ერთი მეტრი სიმაღლის კანაფის ბუჩქი, ასევე ნაპოვნია დაფასოებული და გასაყიდად გამზადებული ნარკოტიკები. კიდევ 114 გრამი მარიხუანა და შვიდი გრამი ჰაშიში ჩხრეკის დროს თავადს შარვლის ჯიბეებში უპოვეს.

ოდესკალკის ნარკოტიკული ნივთიერებების გასაღების მიზნით შენახვის ბრალდება წაუყენეს და შინაპატიმრობა მიუსაჯეს.

ამ გვარის ისტორია 1290 წლიდან იწყება. მისი წარმომადგენელი იყო რომის პაპი ინოკენტი XI. ამ გვარის წარმომადგენლები „შავ კეთილშობილებს“ განეკუთვნებიან და ორმაგ, იტალიისა და ვატიკანის მოქალაქეობას ფლობენ. ოდესკალკების საგვარეულო ციხე-სიმაგრე საკურორტო ქალაქ სანტა მარინელაში მდებარეობს და ის მე-12 საუკუნეშია აშენებული.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

26 დეკემბრისათვის

ვერძი – იღბლიანი, მშვიდი და ჰარმონიული დღეა. გელით წინსვლა კარიერაში. ახალი იდეების განხორციელებას ნუ დააყოვნებთ. **კურო** – მიღწევებიცა და შეცდომებიც დეტალურად გააანალიზეთ. ემოციების გამოვლენას ერიდეთ. **ტყუპები** – სამსახურში თქვენი აქტიურობა ხელმძღვანელობის ყურადღებას მიიქცევს. ფინანსური კეთილდღეობა მხოლოდ შრომისმოყვარეობაზეა დამოკიდებული. **კირჩხიბი** – ახალი საქმის კეთებას ენერგიულად შეუდექით. შედეგი გაგაოცებთ. **ლომი** – წარმატება გელით სამსახურში. დაკისრებული მოვალეობა კეთილსინდისიერად შეასრულეთ. **ქალწული** – სანამ შემოთავაზებულ წინადადებას დათანხმდებით, დაფიქრდით. ბედი გწყალობთ. **სასწორი** – შემოქმედებით სფეროში გიმართლებთ. უფროსობა თქვენი მუშაობით კმაყოფილია. ნუ მოდუნდებით. **ღრიანკალი** – კრიტიკული დღეა. საკუთარ ინტერესებს ნუ უგულებელყოფთ. **მშვილდოსანი** – კეთილისმყოფელი დღეა ორგანიზაციული საკითხების მოსაგვარებლად. თქვენი აქტიურობა და მიზანდასახულობა დაფასდება. **თხის რქა** – საქმიანი კონტაქტები წარმატებას მოგიტანთ. გაუაზრებელ გადაწყვეტილებას ნუ მიიღებთ. **მერწყული** – პასიური დღეა. ვარსკვლავები ახალი საქმის დაწყებისგან თავის შეკავებას გირჩევენ. **თევზები** – ცვლილებებისა და ტრანსფორმაციის პერიოდი მოახლოვდა. მიზნისკენ სვლაში გარკვეული დაბრკოლებები შეგხვდებათ, რომლებსაც იოლად გადალახავთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

თიკა ჯამბურია: „ილოცეთ ამ პატარა ანგელოზისთვის“

მომღერალი თიკა ჯამბურია სოციალურ ქსელში 2 წლისა და 8 თვის პატარა გოგონას ისტორიას ყვება და ყველას მისი დახმარებისკენ მოუწოდებს.

თიკა ჯამბურია:

– მინდა, ერთი ბავშვის ისტორია გაგაცნოთ, რომელიც ახლა სიცოცხლისთვის იბრძვის. სულ რაღაც 2 წლისა და 8 თვისაა და გადასარჩენად იბრძვის. აღმოაჩნდა თავის ტვინის სიმსივნე, გაუკეთდა ოპერაცია. ნაწილი სიმსივნისა ამოიკვეთა. ახლა აუცილებელია, რომ გერმანიაში მოხდეს მისი გადაფრენა და იქ ადეკვატური მკურნალობა ჩატარდეს.

არსებობს „დედების ფონდი“ ფეისბუქში, გავერთიანდით გოგონები და ვცდილობთ, მცირედით დავეხმაროთ ასეთ ბავშვებს. ბავშვის ოჯახმაც ამოწურა მისი მაქსიმუმი და, სამწუხაროდ, ჩვენც. ჩვენი ჩარიცხული ლარითა და 2 ლარით შორს ვერ მივდივართ. კოლოსალურ თანხებზეა აქ საუბარი. სულ 90.000 ევროზე, მაგრამ, ნახევარი მაინც რომ შეგროვდეს, პირველადი სახსრები გაუჩნდება გერმანიაში სამკურნალოდ.

ძალიან დიდი თხოვნა იქნება, რომ დაეხმაროთ ამ პატარას... დარწმუნებული ვარ, გულთან მიიტანთ ამ ბავშვის მდგომარეობას და ილოცებთ ამ პატარა ანგელოზისთვის... ყოველი დღე არის მისთვის მოკლებული სიცოცხლის შანსი. ვერ აღგიწერთ, როგორი მდგომარეობა აქვს.

ქართველმა მომღერლებმა ბაქოში გაიმარჯვეს

აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში საერთაშორისო ფესტივალი გაიმართა, რომელშიც ქართველმა მომღერლებმაც მიიღეს მონაწილეობა.

ტატო გოდერძიშვილმა და ანსამბლმა „ხარებამ“ ფესტივალზე გამარჯვება მოიპოვეს, პირველი ადგილი დაიმსახურეს და დიპლომებთან ერთად თასითაც დაჯილდოვდნენ.

ტატო გოდერძიშვილი:

– ვულოცავ ჩემთან ერთად ანსამბლ „ხარებას“ ამ დიდ წარმატებას. ჩვენ საერთაშორისო ფესტივალის გამარჯვებულები ვართ... ეს ღამაზი თასი ჩვენი სამშობლოსათვის მოგვაქვს... დიდი მადლობა ყველა იმ ადამიანს, ვინც დაგვეხმარა ბაქოში ჩამოსასვლელად და დაგვაფინანსა.

ილია მეორის აღსაყდრების 39-ე წლისთავი გამოფენით აღინიშნა



საქართველოს საპატრიარქოს ხალხური რეწვის განყოფილების ორგანიზებით საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში გაიმართა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის აღსაყდრებიდან 39-ე წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა.

გამოიფინა მარინა წიკლაურის სახელოსნო „შრომანში“ შექმნილი სამუზეუმო ასლები – მეფე თეიმურაზ მეორის სრული შესამოსელი, სარკოფაგის გადასაფარებელი, საგვარეულო გერბი, ფერიცვალების დედათა მონასტრის სახელოსნოში შექმნილი მეფე ვახტანგ VI-ის სრული შესამოსელი და სარკოფაგის გადასაფარებელი, საერო და საეკლესიო დანიშნულების ნივთები, ხევსურული ნაქარგობა, სხვადასხვა შესამოსელი და აქსესუარები, ქართული თექა და ბატიკა, ხელნაკეთი თოჯინები, ხატები, ქართული საბრძოლო იარაღები, ნახატები, თანამედროვე ოსტატების მიერ შესრულებული ხეზე ჭრისა და ქვაზე კვეთის ნიმუშები.

ექსპოზიციაზე ასევე წარმოდგენილია ოქრომკედითა და ვერცხლმკედით ნაქარგი დაფარნები, რომელსაც მონაზონი თამარი, ერისქალობაში ეთერ უროტაძე, სიცოცხლის ბოლო წუთამდე ქარგავდა, წმიდა კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის სკოლა-პანსიონის პროფესიულ სასწავლებელში შექმნილი ხელოვნების ნიმუშები.

გამოფენა სამების საკათედრო ტაძარში პირველ სართულზე გაიხსნა და დასწრება ნებისმიერი მსურველისთვის თავისუფალია. მისმა უწმინდესობამ, ჯანმრთელობის გაუარესების გამო, ვერც გამოფენაზე და ვერც საზეიმო წირვაზე დასწრება ვერ შეძლო.

ნოდარ დუმბაძის „თეთრი ბაირაღები“ ივრითზე ითარგმნა

ნოდარ დუმბაძის შემოქმედება მრავალ ენაზეა თარგმნილი. მწერლის ერთ-ერთი გამორჩეული ნაწარმოები, „თეთრი ბაირაღები“, ივრითზე ითარგმნა.

ინფორმაცია ნოდარ დუმბაძის შვილმა მანანა დუმბაძემ გაავრცელა:

– „თეთრი ბაირაღები“ ანუ „საბრალდებო დასკვნა“, პიესა ივრითზე თარგმნა სიმონ კრიხელმა. ხელნაწერი, ანუ როტოპრინტზე ნაბეჭდი მაგიდაზე მიდევს და ახალ სიცოცხლეს ელოდება. ახლა ამ მოვლენას კარგი პატრონობა უნდა და, თუ დამეხმარებით ჩემი ქართველი ებრაელები, მთელი ცხოვრება თქვენი მოვალე ვიქნები. ვეძებ გამომცემლობას ან თეატრს, რომ ამ პიესით დავაინტერესო.

ნოდარ დუმბაძის „თეთრი ბაირაღები“ მისი შემოქმედებიდან ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ნაწარმოებია. ის არაერთი რეჟისორის მიერ იქნა დადგმული თეატრის სცენაზე როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ. რეჟისორმა გიგა ლორთქიფანიძემ კი „თეთრი ბაირაღების“ მიხედვით მხატვრული ფილმი გადაიღო, სადაც მწერლის სხვა ნაწარმოებებიც გააერთიანა.

ხელოვნების სასახლეს უნიკალური აფიშები გადაეცა

მხატვრებმა თენგიზ და გოგა ქართველიშვილებმა ხელოვნების სასახლეს უნიკალური საავტორო აფიშების კოლექცია გადასცეს.

კავკასიის რეგიონში ხელოვნების სასახლის ერთ-ერთ უმდიდრეს სააფიშო ფონდს 120-ზე მეტი როგორც ნაბეჭდი, ასევე ხელით ნახატი აფიშა შეემატა.

კოლექცია სხვადასხვა თემატიკას აერთიანებს და თითოეული მათგანი განსაკუთრებული ღირებულების მატარებელია.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ქალეიდოსკოპი

ბრიტანელმა პენსიონერმა ვეშაპის შეჭმა გადაწყვიტა

ბრიტანელმა პენსიონერმა არტურ ბოიტმა, რომელიც მთელი ცხოვრება იმ ცხოველებით იკვებება, რომლებიც გზებზე ავტომობილებს ემსხვერპლნენ, გადაწყვიტა, სანაპიროზე გამორიყული ვეშაპი შეჭამოს.

77 წლის მამაკაცმა კორნუოლში ზღვის სანაპიროზე მკვდარი ვეშაპი აღმოაჩინა და მას რამდენიმე ხორცის ნაჭერი ააჭრა. მან ისინი მაცივარში შეინახა, რათა საახალწლოდ ვეშაპის კასეროლი მოამზადოს.

ბრიტანელ პენსიონერს აქამდე ვეშაპის ხორცი არ ჰქონია გასინჯული, თუმცა ვეშაპისნაირთა სხვა სახეობის წარმომადგენლების ხორცი დაგემოვნებული აქვს. მაგალითად, მან გასულ წელს კასეროლი კორნუოლის პლაჟზე ნაპოვნი მკვდარი დელფინის ხორცისგან მოამზადა.

– ისეთი არ გამოვიდა, როგორიც მსურდა, როგორც ჩანს, სხვაგვარად მომზადება სჭირდება, – განაცხადა ბოიტმა.

ბრიტანელი პენსიონერი ავტომობილებთან შეჯახების შედეგად დაღუპული ცხოველების ჭამას 13 წლის ასაკიდან შეუდგა. ამ დროის განმავლობაში მან უამრავი ირემი შეჭამა. ასევე ნაჭამი აქვს თახვის, ზღარბის ხორცისგან დამზადებული კერძები. ბოიტს ასევე უყვარს, მელიის, კურდღლის, ბეღურისა და მტრედის კერძები, მაგრამ მისი ყველაზე საყვარელი საჭმელი მაჩვის თავია.

– მასში ხუთი სხვადასხვა სახის ხორცია და ყოველ მათგანს საკუთარი ტექსტურა აქვს, – განმარტა პენსიონერმა.

ამერიკელი მასწავლებელი ალგებრის ამოცანის გამო დასაჯეს

ამერიკელმა მასწავლებელმა წერილობითი საყვედური მიიღო იმის გამო, რომ მოსწავლეებს ინტიმური შინაარსის მქონე მათემატიკური ამოცანა მისცა ამოსახსნელად.

ინციდენტი ოჰაიოს შტატის ქალაქ მედლბურგ ჰაიტსში მოხდა. 14 წლის მოსწავლე გოგონამ მობილური ტელეფონით გადაიღო ალგებრის ამოცანა და ის მშობლებს ანახა, რამაც ისინი აღაშფოთა და სკოლის ხელმძღვანელობას მიმართეს.

უკმაყოფილება გამოიწვია შემდეგმა ამოცანამ: „ტონის შეუძლია, 19 წუთში გააგზავნოს ხუთი სმს და სამ-სამი შიშველი ფოტო. ცხრა წუთში ის გზავნის სამ სმს-სა და ერთ შიშველ ფოტოს. რა დრო დასჭირდება მას ერთი სმს-ისა და ერთი შიშველი ფოტოს გასაგზავნად?“

საჩივარს მხარი დაუჭირეს სხვა მოსწავლეების მშობლებმაც, რომლებიც ფიქრობენ, რომ 14 წლის მოზარდებისთვის ასეთი შინაარსის ამოცანების მიცემა სრულიად შეუფერებელია. ისინი ასევე ამტკიცებენ, რომ ეს ამ მასწავლებლის პირველი მსგავსი ქმედება არ არის.

სასკოლო ოლქის მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგად მასწავლებელს საყვედური გამოუცხადეს, თუმცა მან სამსახური შეინარჩუნა.

კანადელმა ტრანსგენდერმა სქესის ცვლილებაზე ვიდეორეპორტაჟი მოამზადა

კანადის ქალაქ ტორონტოს მცხოვრებმა ბლოგერმა, რომელიც სქესის შეცვლის პროცესში იმყოფება, სოციალურ ქსელში სახელი მას შემდეგ გაითქვა, რაც იუთუბიზე საკუთარი პლასტიკური ოპერაციის ვიდეო გამოაქვეყნა, რომელშიც მისი სახე ცვლილებას განიცდის.

საექიმო ჩარევის შემდეგ 20 წლის სტეფ სანჯატი ვიდეორგოლში დაბინტული თავითა და სახეზე ჩალურჯებებით წარდგა.

როგორც ახლად დაქალებულმა სტეფმა განმარტა, მან ვერ შეაფასა ქირურგიული ოპერაციის ტრავმატულობა და არ მოელოდა, რომ მისი სახე ასეთი ცუდი სანახავი იქნებოდა, თუმცა სანჯატი იმედოვნებს, რომ სახის ცვლილებები მის თვითაღქმას წაადგება.

ვიდეო სოციალურ ქსელში 17 დეკემბერს იქნა განთავსებული და ის ამ დროში 144 ათასზე მეტმა ადამიანმა ნახა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

პროგრამა

ოთხშაბათი 26 დეკემბერი

07.00 დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" **08.00** "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **08.30** დ/სერ. "ჯეიმი ოლივერის კერძები **30** წუთში" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. **"ჯედრის ჭურე"** **12.30** "სპორტის დაფა" **12.45** "კაცების დრო" **13.45** "ტელემანი" **14.00** "გურმანია" **14.30** "სიტყვების თამაში" **15.00, 01.30** "x სტუდია" **16.30** "ეკონომეტრი" **17.00** "რეალური სივრცე" **21.00** ტ/სერ. **"შურისძიება"** **22.00** "მთავარი"- თამარ ჩიქოვანთან ერთად **23.00** მხ/ფ **"რეი"** (ჯ.ფოქსი) **02.30** "რეალური სივრცე"

08.00, 14.00 დ/ფ "ენტონი ბურდეინი წინასწარი შეკვეთის გარეშე" **09.00** დ/ფ "გიიკების რევანში" **10.00** მხ/ფ **"რაღგან ბესბოლი მიყვარს"** (კ.კოსტნერი) **12.00** ტ/სერ. **"დღეები ლეონესთან ერთად"** **13.00** ტ/სერ. **"ჩენგო ვებრინე"** **15.00, 18.00** "პრინგინის დრო" **17.00** ქართ. დ/ფ "გაბოს შვილები" (რეჟ. მ.ჭიაურელი) **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" (პ/ე) **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **21.30** "გამომძიებელი რეპორტიორი" **22.00, 01.00** ტ/სერ. **"ჩრდილში მდგომი"** **23.00** "მოამბე" (3 ენაზე) **00.30** "ნამდვილი დრო"

06.30, 16.00 სერ. **"თანხმობა"** **07.30, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.40** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. **"ერთი სიყვარულის ამბავი"** **11.20** სერ. **"სიყვარულის ჟამი"** **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. **"ფიცი"** **17.35** სერ. **"პაპარაცი"** **18.50, 19.03** სერ. **"ღირსების სახელით"** **20.55** სერ. **"შავი პარდი"** **23.00** მხ/ფ **"კობრას შეტევა"** **01.10** მხ/ფ **"პორტზე პავშვია"** **02.55** მხ/ფ **"რომეო და ჯულიეტა"**

06.00 სერ. **"დაკარგული პავშვობა"** **06.45** სერ. **"დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა"** **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. **"დინასტია"** **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. **"წითელი და შავი"** **15.55** სერ. **"ინდური საბა"** **16.55** სერ. **"ცხოვრების გზები"** **18.50** სერ. **"ოქროს გალია"** **19.55, 20.05** სერ. **"დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა"** **22.00** ნიჭიერი - პირდაპირი **00.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი

8.00 ან/სერ. "ავატარი" **9.00, 19.00** სერ. **"დოქტორი პაუსი"** **10.00, 18.00** სერ. **"სკანდალი"** **11.00** სერ. **"ქერქო პრაქტიკა"** **13.00** სერ. **"ჩიკაგოს მეხანძრეები"** **15.00** გვიანი შუადღე **17.00** სერ. **"სასოწარკვეთილი დიასახლისები"** **20.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.30 20.30 22.00** სერ. **"მოჩვი"** **23.00** სერ. **"ინტერესის ობიექტი"** **0.00** მხ/ფ **"ეროვნული საგანძური"** **2.20** მხ/ფ **"ეროვნული საგანძური – საიდუმლოების ღიგნი"**

06.15 ღვთის სახლი **06.35** პატერიკი-"უცრად აღძრული სინანულის შესახებ" **06.45** ქართული ალბომი **07.20** ჩვენი საგანძური **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **12.00** საეკლესიო კალენდარი **12.10** მხ/ფ **"სხვისი შვილები"** **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** გამოყენებითი ხელოვნება "ქართული ხმლები" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართული ან/ფ **15.30** ერთხელ ბავშვობაში **15.50** კონცერტი "ტრადიციული მრავალხმიანობა" **16.55** სპექტაკლი **"მბრძანებლის მოხანილი ბარათები"** I **18.05** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **19.30** ბიბლია ბავშვებისათვის **19.40** საქართველო ევროპულ ოჯახში **20.40** ძილი ნებისა "ფიფქია და შვიდი ჯუჯა" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** პატერიკი-"სარწმუნოების გამო ცოდვათა მიტევების შესახებ" **21.35** საეკლესიო აღმშენებლობა **22.15** საქართველოს სამართლის ისტორია **22.15** ქრისტიანული სწავლება **22.30** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.45** ქვიშანი დარჩებიან **01.00** დ/ფ **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **7.50** "ქვიშის ზღაპარი" **8.00** სერ. **"კარგელიტა"** **10.00** სერ. **"ფართოპა მდინარე"** **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 0.30**"ბიზნეს კონტაქტი" **13.30, 2.00** სერ. **"ორი გული"** **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სერ. **"სიყვარულის იგავარია"** **16.00** სერ. **"მარისა"** **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.50** სერ. **"მორიგე ექიმი"** **19.55** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.55** სერ. **"ვიცანი, თუ შეძლებ"** **21.55** სერ. **"გეშე"** **22.40** სერ. **"სტანიცა"** **1.30** "კონტაქტი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

26 დეკემბრისთვის

აშშ დოლარი — 2.7507

ევრო — 2.8739

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.3715

100 რუსული რუბლი — 4.5036

ამინდის პროგნოზი 26 დეკემბრისთვის

20 დეკემბრიდან

მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები



ემილ ზოლა
ქალთა ბედნიერება

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

22 დეკემბრიდან

ძმები გრიმები
წითელქუდა

მაგარი ყდა. 64 ფერადი გვერდი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

შვილის საშობაო ვარცხნილობის ავტორი სოციალურ ქსელში პოპულარული გახდა

ამერიკის არკანზასის შტატის მცხოვრები საკუთარი შვილისთვის სხვადასხვა საშობაო ვარცხნილობას ქმნის. ამისთვის მამაკაცმა სპეციალური კურსები დაამთავრა.

გრეგ უიკჰერსტი მარტო ზრდის თავის ოთხი წლის გოგონა იზის. სკოლის სადღესასწაულო საღამოსთვის მან გოგონას ვარცხნილობით სათამაშოებით მორთული საშობაო ნაძვის ხე გამოსახა. გრეგს ამ ვარცხნილობის შესაქმნელად საათზე მეტი დრო დასჭირდა.

უიკჰერსტმა ასევე იზის თავზე გამოსახა საშობაო ნაძვის ხე და სანტა კლაუსის ქუდი.

– ჩვენ ვუსმენთ საშობაო სიმღერებს, მივირთმევთ ცხელ შოკოლადს, ვმღერით. ვცდილობ, ყველაფერი უჩვეულო და მხიარული გავაკეთო, – განაცხადა ბავშვის მამამ.

უიკჰერსტმა ფეისბუქში შექმნა გვერდი, სადაც იზისა და მისი ვარცხნილობების ფოტოსურათებს აქვეყნებს.

ტორონტოში პანდა თოვლის კაცით გაერთო

კანადის ქალაქ ტორონტოს ზოოპარკის ბინადარმა პანდამ თავის ვოლიერში დადგმული თოვლის კაცით ითამაშა. ცხოველის, სახელად და მაოს გართობის ამსახველი ვიდეოჩანაწერი იუთუბიზე დაწესებულების არხზე გამოქვეყნდა და ის ორ დღეში 62 ათასზე მეტმა ადამიანმა ნახა.

როგორც ვიდეორგოლისთვის თანდართულ მინაწერშია მითითებული, პანდის თამაში უფრო მეტად თოვლის კაცის დაშლა-განადგურებას ჰგავდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

ორი ასაკოვანი დაქალი შეხვდა ერთმანეთს. ურთიერთმოკითხვის შემდეგ ერთი მეორეს ეუბნება:

– ერთი რაღაც მინდა გკითხო და, ღვთის გულისათვის, არ გეწყინოს.

– მკითხე, რა პრობლემაა.

– ამდენი ხანია ვმეგობრობთ და შენი სახელი ვერაფრით გავიხსენე. ხომ არ შემახსენებ?

– ახლავე გინდა?

ქალს საშინელი დამწვრობის შემდეგ კანის გადანერგვა დასჭირდა და მეუღლის კანი გადაუნერგეს, რომელიც უკანალიდან აუღეს. ოპერაციის შემდეგ გამოჯანმრთელებული ცოლი ქმარს ეუბნება:

– ძვირფასო, არც კი ვიცი, მადლობა როგორ გადაგიხადო.

– არ არის საჭირო, საყვარელო, არაფერი შეედრებოდა იმ წუთს, როდესაც დავინახე, თუ როგორ გკოცნიდა ლოყაზე დედაშენი!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– ჩვენს კორპორატიულ საღამოზე ფოტოგრაფს ორჯერ გადაუხადეს ფული.

– რატომ?

– პირველად იმისთვის, რომ სურათები გადაეღო და მეორედ – მათ წასაშლელად.

ახალგაზრდა ექიმთან სტუმრობის შემდეგ ხნიერი ქალბატონი ყვირილით გამოვარდა კაბინეტიდან და დერეფანში გაიქცა. გზად ხანდაზმული ექიმი შეხვდა, შეაჩერა და მიზეზი ჰკითხა. ამის შემდეგ ახალგაზრდა ექიმთან შევიდა და ეუბნება:

– თავს რის უფლებას აძლევ, ახალგაზრდავ, ის ასაკოვანი ქალბატონია, მოზრდილი შვილი ჰყავს, მალე შვილიშვილი ეყოლება, შენ კი ეუბნები, ფეხმძიმედ ხარო.

– სამაგიეროდ, ხომ აღარ ასლოკინებს.

ცოლი ქმარს ეკითხება:

– ძვირფასო, ხალიჩას მიყიდი?

– ცოცხითაც კარგად იფრენ!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი

თარაზულად: 5. სოფელი ხარაგაულის რაიონში; 6. თეატრი პარიზში; 8. პერსონაჟი ჰიუგოს რომანისა „განკიცხულნი“; 10. თვითმფრინავიდან გადმოსახტომი მოწყობილობა; 11. თავადის ცოლი ან ქვრივი (ძვ.); 13. ... კარდინალე; 16. გეომეტრიული სხეული; 18. ფინური აბანო; 19. ერთგვარი რევოლვერი; 21. ღვინით მოვაჭრე (ძვ.); 22. იგივეა, რაც მაგნიტი; 23. რომეოს გვარი (შექსპირიდან).

შვეულად: 1. მოკლე მოსასხამი; 2. საჭმელი სოკო; 3. „თბილი“ შემოსავლიანი თანამდებობა; 4. ქალთა ცეკვა; 7. კაპასი, ანჩხლი; 9. კატის ნაშიერი; 12. გერმანიის საფეხბურთო კლუბი; 14. ... პეტროსიანი; 15. ბაღის თეთრყვავილიანი მცენარე; 17. საზეიმო წვეულება; 20. ჯვრიდან ჩამოხსნილი ქრისტეს დატირების გამომსახველი ნახატი.

შეადგინა ოლივერ კოხიამ



მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.

27 დეკემბრიდან

გაიუს სვეტონიუს ტრანკვილუსი
თორმეტი კეისრის ცხოვრება

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი



ფაჩულიამ შედეგიანობას უმატა

გასულ უქმეებზე გოლდენ სტეიტმა და ზაზა ფაჩულიამ 2 მატჩი გამართეს. აქედან ერთი ქართველი კალათბურთელისთვის ოკლენდურ გუნდში საუკეთესო აღმოჩნდა.

მეომრებმა ბრუკლინში ნეთსი დაამარცხეს, ხოლო ქართველმა ცენტრმა სეზონის მეორე ორმაგი დუბლი შეასრულა და უორიორსს გამარჯვებაში დიდად დაეხმარა.

გოლდენ სტეიტი ძირითადი ხუთეულის დაცვის ბურჯის – დრეიმონდ გრინის გარეშე თამაშობდა და პირველი ტაიმის შემდეგ 16 ქულით აგებდა. არადა, მარტო ქართველ ცენტრს პირველ ტაიმში დათმობილ 10 წუთში 10 ქულა და 8 მოხსნა ჰქონდა მოპოვებული და თავის გუნდში ეს შედეგი საუკეთესო გახლდათ.

ზაზას უშუალო ოპონენტ ბრუკ ლოპესს, რომელიც ნბა-ს ერთ-ერთ საუკეთესო ცენტრად ითვლება, პირველ ტაიმში უკეთესი სტატისტიკა ჰქონდა, მაგრამ ქართველ მეფარესთან ფარქვეშ ბრძოლას გაურბოდა. ლოპესი ხშირად ადიოდა პერიმეტრზე და პირველ ტაიმში 3 სამქულიანი ჩააგდო, საბოლოოდ კი შორი დისტანციიდან 9-დან 4 სამიანი მიითვალა.

გაგრძელება მე-9 გვერდზე